ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 13 თებერვალი, 2023 №30 (9066) ფასი: 80 თეთრი

ვარკეთილის სამხედრო ბაზაზე სამხედრომ ოცმეთაური და ერთ-ერთი რიგითი დაჭრა

გვ.5

თურქეთსა და სირიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 33.181-ს მიაღწია

გვ.3

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, სტიქიას საქართველოს 5 მოქალაქე ემსხვერპლა

„მეც პატიმარი და პოლიტპატიმარი ვიყავი, მაგრამ თამაშის წესებს ვიცავდი“

გვ.2

ვახტანგ მაისაია: „ნატოს გენმდივნის მოადგილე და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდნენ ჩემ სანახავად და ისინი ციხეში შემოუშვეს“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს დეზინფორმაციის სჯერა. ეს დიდი ტრაგედიაა“

„რუსეთს ვუახლოვდებით. ცუდ გზას ვადგავართ“

ექსპერტი: „რუსეთში ძალაუფლებისთვის ბრძოლის სიმპტომები უკვე გამოჩნდა“

გვ.4

„გაზპრომი“ კერძო სამხედრო კომპანიას ქმნის



პრემიერ-მინისტრი: „თურქეთში დაზარალებული მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიზნით 1 მლნ ლარი გამოიყო“

გვ.3

სალომე ზურაბიშვილი: „20 პოლიციის მანქანა ცისფერი გალერეის უკანა ეზოში... მხატვარი ესოდენ საფრთხეს უქმნიდეს სახელმწიფოს?“

გვ.4

3 12 თებერვალს საქართველოში სამი მიწისძვრა მოხდა

5 მარნეულში კაცმა მეგობარი ცივი იარაღით დაჭრა და პოლიციას ჩაჰბარდა

4 „გადაგვიყვანონ დროულად, 3-ბალიან მიწისძვრასაც ვერ გაუძლებს“ — აქცია გორში

6 რუსეთი მოლდოვაში გადატრიალებას გეგმავდა

1993230720223

„რუსეთს ვუახლოვდებით. ცუდ გზას ვადგავართ“

ნიკა ჩიტაძე: „ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს დეზინფორმაციის სჯერა. ეს დიდი ტრაგედიაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ნიკა ჩიტაძე პასუხობს.

– ბატონო ნიკა, შევაფასოთ ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები, როგორც ოპოზიციაში მიმდინარე ამბები, ისე – ხელისუფლებაში. ვხედავთ, რომ ოპოზიციის ერთმა ნაწილმა უარი თქვა საპარლამენტო საქმიანობაზე და ქუჩაში აქციებს მართავს. ბევრი ფიქრობს, რომ ეს არაფრის მომცემია, არ არის მომგებიანი, ამით, პირიქით, ხელისუფლებას აძლიერებენო. რას ფიქრობთ თქვენ, რამდენად სწორად იქცევა პარტია ნაციონალური მოძრაობის ახალი თავმჯდომარე?

– ნაწილობრივ სწორად იქცევა, ასე ვიტყოდი. მე მგონია, რომ აუცილებელია „ქართულ ოცნებასთან“ ბრძოლა როგორც პარლამენტის შიგნით, ასევე პარლამენტის ფარგლებს გარეთ, ორივე მიმართულებით. პარლამენტს შიგნით, ვიცით, რომ განსახორციელებელია მთელი რიგი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც იმავე საარჩევნო სისტემას უკავშირდება.

– პარლამენტის დატოვების შემთხვევაში, ოპოზიცია ხელისუფლებას კომფორტულ სიტუაციაში აყენებსო.

– კი, ნაწილობრივ ასეა. აუცილებელია ხელისუფლებასთან ოპონირება. ამ შემთხვევაში, ოპოზიციის მიერ არ იქნება გამოყენებული საპარლამენტო ტრიბუნა და ოპოზიციის პოზიცია ვერ დაფიქსირდება, რამაც ოპოზიცია შეესაძლოა დაასუსტოს. ბრძოლა პარლამენტიდანაც საჭიროა, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა გამოხატა თავისი მხარდაჭერა და ხმა მისცა ამ პარტიების პარლამენტში ყოფნას. ამიტომ ისინი უნდა გამოხატავდნენ ამომრჩევლის ინტერესს საკანონმდებლო ორგანოში.

– ნიკა მელიას ფრთა არ იზიარებს ხაბეიშვილის პოზიციებს. ეს მათ შორის არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო ხომ არ გაამწვავებს?

– მე ასე მგონია, რომ პარტიამ მთავარი დაპირისპირება მაინც გადაიტანა, საბედნიეროდ, ანუ პარტია არ დაიშალა. პარტია არ დაუტოვებიათ არც ნიკა მელიასა და არც მის მომხრეებს. საბედნიეროდ, პარტიის ყველა წევრმა გამოიჩინა მაღალი პასუხისმგებლობა. ნიკა მელიამ აღიარა არჩევნების შედეგები. შეიძლება, ბოლომდე – არა, მაგრამ, ვფიქრობ, პარტია კრიზისული ვითარებიდან გამოვიდა, რთული ეტაპი გადალახეს. გეთანხმებით, დღეს აზრთა სხვადასხვაობაა პარტიაში. ეს თითქოს პრობლემას უქმნის ერთიანობას, თუმცა, მეორე მხრივ, აზრთა სხვადასხვაობა კარგია. ამით განსხვავდებიან „ქართული ოცნებისგან“, სადაც ყველა ერთ ხმაში მღერის.

– ფიქრობთ, რომ დარჩება მელიას ფრთა ნაცმოძრაობაში? დაიშლება ნაცმოძრაობა?

– დიდი იმედი მაქვს, რომ ასე არ მოხდება. რადგან არჩევნების დროს არ გაიხლიჩა პარტია, ვფიქრობ, აღარ გაიხლიჩება.

– ასეთი დაპირისპირების ფონზე მათი თანამშრომლობა როგორ წარმოგიდგენიათ?

– აზრთა სხვადასხვაობის ფონზე, წარმომიდგენია. კი, არის დაპირისპირება, აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საერთო მეტია, რაც გამოიხატება ივანიშვილის რეჟიმის დამარცხების სურვილში. ამიტომ საერთო უფრო მეტია.

– სასამართლომ არ გაუშვა სააკაშვილი სამკურნალოდ. ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას ხაბეიშვილის ეს მცირერიცხოვანი აქციები შეაშინებს?

– ჩემი პატივისცემის მიუხედავად პარტია ნაციონალური მოძრაობის მიმართ, მე მაინც მგონია, რომ პარტია არ მუშაობს მოსახლეობასთან და არ ეწევა შესაბამის საინფორმაციო პოლიტიკას. გამოდის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და აცხადებს, სააკაშვილი იმიტომ დაბრუნდა საქართველოში, რომ ჩვენი ქვეყანა ომში ჩართულიყოო. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, სამწუხაროდ, ეს სჯერა. მოსახლეობის განწყობა კი ყველაზე დიდი პრობლემაა. აქციები ერთია, მაგრამ მეორეა, დაარწმუნო ის ადამიანები, რომლებიც ნიჰილისტურად არიან განწყობილი ოპოზიციური პარტიების მიმართ. კვლევების მიხედვით, მოსახლეობის ნახევარი უარყოფითადაა განწყობილი პოლიტიკური პარტიების მიმართ. აი, სადაა პრობლემა. სწორედ ამ ხალხთან მუშაობაა საჭირო. მათი სტრატეგიის ყველაზე სუსტი ნაწილი სწორედ ეს არის, არ მუშაობენ ხალხთან.

– ხაბეიშვილის ქუჩაში გასვლა და ეს პატარ-პატარა აქციები მხოლოდ იმისთვისაა, რომ მიხეილ სააკაშვილს დაანახონ, ვიბრძვით თქვენი თავისუფლებისთვისო. ამ მოსაზრებას რამდენად იზიარებთ?

– არა მგონია, ასე იყოს. ხაბეიშვილი ისედაც მებრძოლი ადამიანია. ხომ გვახსოვს, მარტო იყო საკრებულოში და როგორ იბრძოდა.

– ხელისუფლებას ხაბეიშვილის აქციები შეაშინებს? თანაც – არც ისე მრავალრიცხოვანი...

– სწორედ ამიტომ არის საჭირო მოსახლეობასთან მუშაობა, რომ უფრო მეტი ადამიანი გამოვიდეს ქუჩაში. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებაც იძულებული იქნება, ანგარიში გაუწიოს ოპოზიციის ქმედებებს. გამოვიდნენ და ამხილონ ხელისუფლება, რომ არავის არ სურს ამ ქვეყნის ომში ჩართვა.

– რას იტყვით ირაკლი კობახიძის განცხადებებზე? კი, შეიძლება, სამწუხაროა, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომში უპირატესობას რუსეთი ფლობსო. რას ნიშნავდა ეს განცხადება? რატომ აკეთებენ მსგავს განცხადებებს?

– ძალიან სამწუხაროა, რომ მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერი პირველ რიგში საკუთარი ქვეყნის მიმართ არის ნეგატიურად განწყობილი. მსგავსი ტიპის განცხადება არის მოღალატეობრივი. ამით რა გვითხრა ირაკლი კობახიძემ? რომ რუსეთი არის ძლიერი სახელმწიფო და ნახეთ, როგორ ძლიერ სახელმწიფოსთან ომს აარიდა თავი საქართველოს ხელისუფლებამ. რატომ არაფერს ამბობს ირაკლი კობახიძე იმაზე, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა 2022 წლის 24 თებერვლიდან დღემდე 2 ათასზე მეტი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს.

– საპირისპიროს გვიმტკიცებს კობახიძე?

– კი, ასეა, საპირისპიროს გვიმტკიცებენ. პრობლემა მარტო კობახიძეში არ არის. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ამ დეზინფორმაციის სჯერა ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს დიდი ტრაგედიაა.

– ივანიშვილის გზავნილებს ახმოვანებს ირაკლი კობახიძე?

– მე ასე მგონია. არა მარტო კობახიძე, გუშინ ღარიბაშვილმაც განაცხადა, რომ მხარეები უნდა დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან, ანუ ერთ ქვაბში მოხარშა რუსეთი და უკრაინა. არც კი უხსენებია, რომ რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია. მხოლოდ სინანული გამოთქვა, რა ცუდია, რომ იღუპება ამდენი ადამიანიო. მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ანგარიშგასაწევი ძალაა. პრობლემის თავიდათავი კი ის არის, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთანხმება ამ ყველაფერს.

– სადამდე მიგვიყვანს ხელისუფლების ეს პოლიტიკა?

– ძალიან ცუდი მიმართულებით. სწორ გზაზე რომ არ მივდივართ, ხომ ვხედავთ. საქართველომ ერთხელ უკვე დაკარგა კანდიდატის სტატუსის შანსი. არც ის ვიცით, შემდგომში მოგვცემენ თუ არა. ფაქტია, რომ კარგი მიმართულებით არ მივდივართ, ვუახლოვდებით რუსეთს, მათ შორის – ეკონომიკური თვალსაზრისით. ხელისუფლება რომ ამაყობს, 10%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვსო, რის ხარჯზეა ეს ზრდა?! 2 მილიარდი დოლარი გადმოირიცხა საქართველოში რუსეთიდან. მთლიანად დავეკიდეთ რუსეთის ეკონომიკას. ჩვენი მოსახლეობა ტოვებს ქვეყანას, რუსეთიდან კი შემოდიან და შემოდიან.

– ეს ალბათ ძალიან მძიმე შედეგს დადებს საბოლოოდ.

– ძალიან. მათ შორის, იცვლება დემოგრაფიული ვითარება. 100 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე გავიდა და 100 ათასზე მეტი რუსი შემოვიდა. სულ შემოვიდა მილიონზე მეტი რუსი, მაგრამ, ვინც დარჩა, იმას ვგულისხმობ, გახსნეს საბანკო ანგარიშები, იყიდეს უძრავი ქონება. ამ ფონზე, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც რომ მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“, პირველ რიგში ეს საზოგადოებრივი განწყობა არ მიგვიყვანს კარგ შედეგებამდე. ის, რომ ხელისუფლებაშია „ქართული ოცნება“, სწორედ ამ საზოგადოების დამსახურებაა.

პრემიერ-მინისტრი ანტიკორუფციული ბიუროს ახლად დანიშნულ უფროსს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სსიპ ანტიკორუფციული ბიუროს ახლად დანიშნულ უფროსს რაჟდენ კუპრაშვილს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა მას თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე საუბარი ანტიკორუფციული ბიუროს სამომავლო საქმიანობას შეეხო. ხაზი გაესვა, რომ, მთავრობა ზედმიწევნით მუშაობს ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე და ანტიკორუფციული ბიუროს შექმნაც ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების ნაწილია.

„მეც პატიმარი და პოლიტპატიმარი ვიყავი, მაგრამ თამაშის წესებს ვიცავდი“

ვახტანგ მაისაია: „ნატოს გენმდივნის მოადგილე და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდნენ ჩემ სანახავად და ისინი ციხეში შემოუშვეს“

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

გულიკო ბალაძე

– უკრაინისთვის ძალიან რთულ პერიოდში ზელენსკი იცლის იმისათვის, რომ პატიმარ სააკაშვილზე განცხადება გააკეთოს. ამ საკითხს როგორ უყურებთ?

– ფორმალურად ზელენსკის პოზიცია გასაგები და ლოგიკურია. სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა. თვითონ სააკაშვილმაც განაცხადა, რომ უკრაინის მოქალაქეა და მისი გული უკრაინას ეკუთვნის. სავსებით ლოგიკური მომენტია, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაჩენის სამართლიანობა ეჭვის ქვეშ არ დააყენა.

ზელენსკიმ ეს ძალიან კარგი ჟესტი გააკეთა. ზელენსკიმაც იცის, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში პრეზიდენტობის დროს რა დანაშაულები ჩაიდინა და ქვეყანაში დაამყარა ავტოკრატიული რეჟიმი ლიბერალური ტირანიის სახით.

– ლიბერალური ტირანია?

– დიახ, ლიბერალური ტირანია, ასეთი ტერმინი შეიძლება გამოვიყენოთ იმ რეჟიმის აღსაწერად, რომელიც სააკაშვილის დროს საქართველოში დამყარდა. ეს ტერმინი ამერიკელმა გავლენიანმა პოლიტოლოგმა ფარადი ზაქარიმ შემოიტანა. სააკაშვილის მმართველობა ლიბერალური ტირანიის განსახიერება იყო.

თუმცა, ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე, ზელენსკი ვალდებულია, სააკაშვილის მდგომარეობაზე ყურადღება გაამახვილოს. ის იმ ქვეყნის პრეზიდენტია, რომლის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილია, მაგრამ განაჩენის სამართლიანობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია, რაც ძალიან კარგია. ამისთვის მე ზელენსკის ძალიან დიდ პატივს ვცემ.

პოლიტიკური მკრეხელობაა, რომ აპელირებენ, თურმე განაჩენი არასამართლიანია. ზელენსკიმ ძალიან სწორი აქცენტი გააკეთა. თუ სააკაშვილი დაავადებულია, ავად არის, მოითხოვა, რომ მიხედონ.

– თურმე საჭმელს არ ჭამს და წამალს არ იღებს. როგორ უნდა განიკურნოს?

– ზელენსკიმ დეტალები ხომ არ იცის. „ქართული ოცნება“ კიდევ რეალურ სურათს არ აჩვენებს. ვინ უშლის, დაარწმუნონ, რომ ისე არ არის, როგორც ამბობენ.

ცხადია, სააკაშვილს მის მიერ შექმნილ სისტემაში არ ამყოფებენ, როგორც ნაცხელისუფლების დროს ისინი პატიმრებს ამყოფებდნენ, მათ შორის, პოლიტიკურ პატიმრებს.

სააკაშვილის დროს აკადემიკოსი კაცი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (პრეზიდენტზე მეტი სტატუსი აქვს) კარცერში გაუშვეს, არც ტუალეტის ქაღალდი მისცეს, არც – არაფერი და ადამიანს ყინავდნენ. ადამიანი ლამის სიცივით მოკვდა.

ვერ გავიგე, თუ აკადემიკოსს ასე ექცევიან, ყოფილ პრეზიდენტს პრივილეგირებულად რატომ უნდა მოექცნენ, ისეთი რა გააკეთა? სააკაშვილი პატიმარია. თუ აკადემიკოსი, მიხეილ სააკაშვილის ავტოკრატიული რეჟიმის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

პრემიერ-მინისტრი: „თურქეთში დაზარალებული მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიზნით 1 მლნ ლარი გამოიყო“

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთი მილიონი ლარი გამოიყო.

განკარგულების მიხედვით, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს, გამოყოფილი თანხა თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის მედიკამენტების, საკვების, ტანსაცმლის, სამედიცინო აღჭურვილობის და სხვა საჭიროებების შესყიდვას და თურქეთის რესპუბლიკაში ტრანსპორტირებას მოხმარდება.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თურქეთის რესპუბლიკის საელჩოში გახსნილ სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

საქართველოს ელჩი თურქეთში სტიქიის ზონაში ჩავიდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი გიორგი ჯანჯღავა, საელჩოს თანამშრომლებთან ერთად, სტიქიის ზონაში ჩავიდა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო უწყება ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, ქართველი დიპლომატები შეხვედრებს გამართავენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მოინახულებენ საქართველოს მოქალაქეებს მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით.

საელჩოს წარმომადგენლები ასევე შეხვდებიან საქართველოდან თურქეთში ჩასულ მაშველებს, რომლებიც რამდენიმე დღეა სტიქიის ზონაში მუშაობენ.

– საქართველოს საელჩო გაზიანთეფში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის პირველივე წუთებიდან 24-საათიან რეჟიმში მუშაობს საქართველოს მოქალაქეთა დასახმარებლად.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, სტიქიას საქართველოს 5 მოქალაქე ემსხვერპლა.

ათობით მოქალაქე სტიქიის ზონიდან გადაყვანილია თურქეთის სხვა რეგიონებსა და ქალაქებში, ასევე ზოგიერთი მათგანი უკვე დაბრუნდა საქართველოში, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

12 თებერვალს საქართველოში სამი მიწისძვრა მოხდა

საქართველოში კიდევ ერთი მიწისძვრა მოხდა. სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი ამჯერად ახალქალაქთან, სოფელ დილისკაში მდებარეობდა.

მიწისძვრის სიმძლავრემ 3.4 მაგნიტუდა შეადგინა.

პაკისტანის მოქალაქემ თურქეთის მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად 30 მილიონი დოლარი გადარიცხა

ამერიკის შეერთებულ შტატებში თურქეთის საელჩოში პაკისტანის მოქალაქემ, რომლის ვინაობაც არ სახელდება, თურქეთის მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად 30 მილიონი დოლარის დონაცია განახორციელა.

ინფორმაციას CNNპაკისტანის პრემიერ-მინისტრ შებაშ შერიფზე დაყრდნობით ავრცელებს. პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ეს ინფორმაცია „ტვიტერზე“ გამოაქვეყნა:

– სასიამოვნოდ გაოცებული ვარ უცნობი პაკისტანელის მაგალითით, რომელიც ამერიკაში თურქეთის საელჩოში მივიდა და 30 მილიონი დოლარის დონაცია განახორციელა თურქეთსა და სირიაში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად, – წერს შარიფი „ტვიტერზე“.

თურქეთში მომხდარი მიწისძვრის ენერგია 500 ატომური ბომბის სიმძლავრის იყო

თურქეთის მიწისძვრებისა და რისკის შემცირების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თქმით, ქვეყანაში მომხდარი 7,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად გამოთავისუფლებულ ენერგიას 500 ატომური ბომბის ეფექტი და ენერგია ჰქონდა.

მან ასევე აღნიშნა, რომ მიწისძვრის ზონაში არ არის ლავის ნაკადები, ვულკანური ფერფლი, ნავთობი ან გაზი.

– ეს სხვა არაფერია, თუ არა მიწისძვრებით გამოწვეული უბრალო მასობრივი მოძრაობა. რეგიონში არ არსებობს ქანების სტრუქტურული ჯგუფი, რომელმაც შეიძლება ვულკანური ამოფრქვევა გამოიწვიოს, – თქვა ორჰან თათარმა.

საქართველოს საელჩოს განცხადება თურქეთში მიწისძვრით დაზარალებულ პროვინციებში მყოფი მოქალაქეებისთვის



თურქეთში საქართველოს საელჩო მიწისძვრით დაზარალებულთა საყურადღებოდ განცხადებას ავრცელებს.

– მიწისძვრით დაზარალებულ პროვინციებში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ საქართველოს ელჩი, საელჩოს კონსული, პოლიციის ატაშე და თანამშრომლები იმყოფებიან ქ. ადიამანში.

სტიქიის ზონის დატოვების მსურველ მოქალაქეებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ქვემოთ მოცემულ ნომრებზე:

+90(533)6903040
+90(539)2208280.

თურქეთსა და სირიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 33.181-ს მიაღწია

ბოლო მონაცემებით, თურქეთსა და სირიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 33.181-ს მიაღწია. ამის შესახებ ინფორმაციას ჩ№№-ი ავრცელებს.

თურქეთის საგანგებო სიტუაციების საკოორდინაციო ცენტრმა განაცხადა, რომ თურქეთში დაღუპულთა რიცხვი 29.605-მდე გაიზარდა.

სირიაში კი დაღუპულთა საერთო რაოდენობა შეადგენს 3.576-ს, მათ შორის 2.168 ადამიანი დაიღუპა მეამბოხეების მიერ კონტროლირებად რაიონებში , სამოქალაქო თავდაცვის ჯგუფის „თეთრი ჩაფხუტების“ თანახმად, 1.408 სირიის მთავრობის მიერ კონტროლირებად ნაწილებში დაიღუპა. ამასთან აღინიშნება, რომ დაღუპულთა საერთო რაოდენობა სირიაში, სავარაუდოდ, გაცილებით მეტი იქნება.

თურქეთში მიწისძვრის შედეგად ჩამონგრეული შენობების მშენებლობასთან დაკავშირებით 113 პირის დაკავების ორდერი გაიცა

თურქეთის ოფიციალური პირების განაცხადებით, 6 თებერვალს მომხდარი მიწისძვრის შედეგად ჩამონგრეული შენობების მშენებლობასთან დაკავშირებით 113 პირის დაპატიმრების ორდერი გაიცა.

თურქეთის პოლიციამ უკვე დააკავა, სულ მცირე, 12 ადამიანი, მათ შორის სამშენებლო კონტრაქტორები.

მედიის ცნობით, მოსალოდნელია უფრო მეტი პირის დაპატიმრება. ამასთან, როგორც დასავლური მედია იუწყება, ზოგიერთი კრიტიკოსის თქმით, ეს მომხდარი კატასტროფისთვის პასუხისმგებლობის გადატანის მცდელობაა, რადგან ექსპერტები გამუდმებით აცხადებდნენ, რომ თურქეთში ბევრი ახალი შენობა უსაფრთხო არ იყო.

თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილი საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე იპოვეს

თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად საქართველოს კიდევ ერთი გარდაცვლილი მოქალაქე იპოვეს.

– თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს დაუდასტურეს ქალაქ გაზიანტეფში მიწისძვრის შედეგად საქართველოს მოქალაქის ი.პ. გარდაცვალების შესახებ, – აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

თურქეთში მაშველებმა 10 წლის გოგონა ნანგრევებიდან 147 საათის შემდეგ გამოიყვანეს

სტამბოლის მუნიციპალიტეტის ცნობით, 10 წლის გოგონა ნანგრევებიდან გამოიყვანეს სამხრეთ თურქეთის ჰათაის პროვინციაში, რეგიონში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრიდან 147 საათის შემდეგ.

სამძებრო-სამაშველო ჯგუფებმა გოგონა, სახელად ჯუდი, ნანგრევებიდან ამოიყვანეს და საკაცით კლინიკაში გადაიყვანეს.

– ჯუდი, ჩვენი საყვარელი. საყვარელო ჯუდი, – გაისმა ვიდეოში მყოფი პირის სიტყვები, „ალილუია!“

ამასთან, თურქული საინფორმაციო სააგენტო „ანადოლუს“ ინფორმაციით, მიწისძვრიდან 152 საათის შემდეგ ადიამანის პროვინციაში მაშველებმა ნანგრევებიდან ამოიყვანეს 7 და 8 წლის ბიჭები.

„გაზპრომი“ კერძო სამხედრო კომპანიას ქმნის

ექსპერტი: „რუსეთში ძალაუფლებისთვის ბრძოლის სიმპტომები უკვე გამოჩნდა“

მარიამ მჭედლიშვილი

იმ დროს, როცა საქართველოს მმართველი პარტიის ლიდერები საზოგადოებას არწმუნებენ, რომ უპირატესობა უკრაინის ომში რუსეთის მხარესაა, ხელისუფლებასთან დაახლოებულ ანტიდასავლურ ჯგუფებს კი ევროკავშირის მხილების საღერღელი აეშალათ, მსოფლიოს უდიდესი ნაწილი პროგნოზირებს რუსეთის სტრატეგიულ მარცხს უკრაინაში. რუსეთის ბოლოდროინდელ ტაქტიკურ სამხედრო აქტიურობასა და დასახლებული პუნქტების დროებით დაკავებას არავინ მიიჩნევს რუსეთის გამარჯვებად.

ექსპერტები კრემლის საბოლოო სამხედრო კრახის მოლოდინში საუბრობენ პუტინის პოზიციის შერყევაზე ქვეყნის შიგნით და რუსეთში ძალაუფლებისთვის ბრძოლაზე. მათ შორის, ვინც რუსეთში ძალაუფლებისთვის იბრძოლებს, უკრაინელი ექსპერტი ვლადიმირ ფესენკო ასახელებს კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ დამფუძნებელ პრიგოჟინსა და ჩეჩნეთის ლიდერ რამზან კადიროვს. სხვა ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პრიგოჟინისა და კადიროვის ამბიციები ბოლო დროს სხვებმა ჩააცხრეს. ფესენკოს ბელარუსის თავისუფალი მედია ესაუბრა.

„რუსეთში ომის მომხრეებიც ხვდებიან, რომ ომი ჩიხში შევიდა“

ვლადიმირ ფესენკო:

– არა მგონია, რომ პუტინი იანუკოვიჩივით ქვეყნიდან გაიქცეს. ის, რაც იანუკოვიჩს მოუვიდა, კანონზომიერია. გარეგნული სიძლიერისა და სიმკაცრის მიუხედავად, იანუკოვიჩი ხშირად ახდენდა საკუთარი სისუსტის დემონსტრირებას: ასე იყო ნარინჯისფერი რევოლუციის დროს, ასე მოხდა 2012 წლის არჩევნებზეც. მაშინ იყო მინიმაიდნის მოწყობის მცდელობა ცესკოსთან, იანუკოვიჩი კი 10 დღით ქვეყნიდან გაიქცა. 2014 წლის თებერვალში მომხდარმა მოვლენებმაც დაადასტურა იანუკოვიჩის სისუსტე. პუტინის რეჟიმი უფრო ძლიერია, ვიდრე იყო იანუკოვიჩისა უკრაინაში. მთავარი ისაა, რომ რუსეთში არ არსებობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც მუდმივად იბრძოლებდა თავისი სამოქალაქო უფლებებისათვის, რუსეთში არ არის უკრაინის მსგავსი საპროტესტო მოძრაობის გამოცდილება. აქედან გამომდინარე, არ ვიტყოდი, რომ რუსეთში განმეორდება უკრაინის მოვლენები. რუსეთში ყველაფერი სხვანაირად წარიმართება.

– რომელი სცენარია მოსალოდნელი რუსეთში?

– პუტინი საკუთარ გარემოცვას უნდა უფრთხოდეს. მას უნდა ეშინოდეს ახლობლებისა, რომლებიც უცებ ხიფათს იგრძნობენ.

– ბევრია დღეს ერთმანეთთან დაპირისპირებული ჯგუფი კრემლის პატრონის გარშემო?

– პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ კრემლს საკუთარი ომის პარტია ჰყავს. ის არსებობს პუტინის გარემოცვაშიც და კრემლის საზღვრებს მიღმაც. კრემლის ფარგლებს გარეთ ის უფრო ძლიერადაა წარმოდგენილი. პრიგოჟინი და კადიროვი პუტინის რეჟიმის ნაწილს შეადგენენ, მაგრამ ისინი მოქმედებენ კრემლის გარეთ.

ისეთი ფენომენის გაჩენა, როგორიც პრიგოჟინია, პერსპექტივაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უბრალოდ ბრძოლა ჯგუფებს შორის კრემლის შიგნით. მას აქვს კერძო სამხედრო კომპანია, არსებითად, ჰყავს საკუთარი არმია. თავისი არმია ჰყავს კადიროვსაც. ესენი საკუთარი ძალოვანი რესურსის მქონე მოთამაშეები არიან. მათ შეუძლიათ ამ რესურსის გამოყენება ცენტრალური ხელისუფლების დესტაბილიზაციისას ან მაშინ, თუ პუტინს რამე მოუვა. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლა რუსეთში განხორციელდეს ძალოვანი რესურსის გამოყენებით, მათ შორის, კერძო სამხედრო კომპანიების რესურსით.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ „გაზპრომი“ ქმნის საკუთარ კერძო სამხედრო კომპანიას. ვფიქრობ, ამას სხვა სახელმწიფო კომპანიებიც აკეთებენ, მაგრამ ამის აფიშირებას არ ახდენენ. ამას შეუძლია, რუსეთის პოლიტიკა სხვა გზაზე დააყენოს: იქნება არა უბრალო კულუარული დაპირისპირება პუტინის გარემოცვის ჯგუფებს შორის, არამედ ძალაუფლებისთვის ბრძოლა ძალისმიერი მეთოდების, მათ შორის, სამხედრო ძალის გამოყენებით.

პუტინის გარემოცვაში არსებობს ძალოვნების არაერთგვაროვანი დაჯგუფება. არიან სამხედროები, არის „ფსბ“, არის პატრუშევი (უშიშროების საბჭოს მდივანი), რომელიც კურირებს ყველა ძალოვანს. გავრცელებული მითქმა-მოთქმის თანახმად, პატრუშევს პრეტენზია აქვს იმაზე, რომ პუტინის მემკვიდრე მისი ვაჟი გახდეს.

უკრაინის წინააღმდეგ ომის მომხრე ძალოვნების ბანაკიც კი ხვდება, რომ ომი ჩიხში შევიდა და საჭიროა უფრო რაციონალურად მოქმედება. პუტინი ამისათვის ჯერ მზად არაა.

რუსეთში არის სისტემური ლიბერალების ბანაკიც. მან, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა.

არსებობს ასევე ზომიერი ტექნოკრატების ბანაკი. მისი წარმომადგენლები კონცენტრირებული არიან ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაზე, სოციალური სტაბილურობის მეტნაკლებად შენარჩუნებაზე. ისინი არ ერევიან უკრაინის წინააღმდეგ ომთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. ამ ბანაკს მიეკუთვნებიან პრემიერი მიშუსტინი, მოსკოვის მერი სობიანინი, სბერბანკის მეთაური გრეფი და სხვები. მათი ნება რომ იყოს, გამონახავდნენ ომიდან გამოსვლის კომპრომისულ ვარიანტს.

არიან ცალკეული ფიგურებიც, რომლებიც ცდილობენ პუტინსა და შიდასიტუაციაზე გავლენის მოხდენას.

– ვინ გყავთ მხედველობაში?

– იური კოვალჩუკი იმ მცირერიცხოვანი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც პუტინთან პირდაპირი ურთიერთობა შეუძლიათ. კოვალჩუკი, პუტინის მსგავსად, ომის მხარდამჭერი და დასავლეთის მოწინააღმდეგეა.

ამრიგად, პუტინთან ყველაზე დაახლოებული პირები არიან პატრუშევი და კოვალჩუკი.

ბიუროკრატიულ აპარატში ყველაზე გავლენიან ფიგურას წარმოადგენს კირიენკო. არსებული მონაცემებით, ის დაახლოებულია კოვალჩუკთან, თუმცა საკუთარ თამაშს თამაშობს.

არიან ადამიანები, რომლებიც ტრადიციულად ეკუთვნოდნენ პუტინის გარემოცვას, თუმცა ამჟამად ემიგრაციაში გადავიდნენ, მაგალითად, „გაზპრომის“ ხელმძღვანელობა მილერის მეთაურობით, ასევე სეჩინი („როსნეფტის“ აღმასრულებელი დირექტორი) და მედვედევი (ამჟამად უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე), რომელსაც არ დაუკარგავს იმედი, რომ პუტინის მემკვიდრე გახდება. მედვედევის პოლიტიკური წონა საკმაოდ დაკლებულია, მის სამხედრო რიტორიკას კი რუსეთში ირონიულად აღიქვამენ.

– რა ელის პუტინს და მთლიანობაში რუსეთს?

– შესაძლებელია სხვადასხვა სცენარის განვითარება. არ არის გამორიცხული პუტინის დარჩენა თანამდებობაზე რეჟიმის დაუძლურებით. კიდევ ერთი სცენარია ახალი ღრმა პოლიტიკური კრიზისი, ფაქტობრივად, ახალი შფოთი. არის კიდევ ცოცხალი პუტინის თვალწინ ძალაუფლებისთვის ბრძოლის სცენარი.

რუსეთის შიგნით მოვლენების განვითარება დამოკიდებულია ომის სიტუაციაზე. პრიგოჟინის უსისტემო საქმიანობამ დაანგრია თამაშის ძველი წესები. „ვაგნერის“ შემქმნელი ემუქრება გენერლებსა და გუბერნატორებს. ის თავს წარმოაჩენს გავლენიან მოთამაშედ თავისი რეალური სტატუსის მიუხედავად. ეს პირველი სიმპტომია იმისა, რომ რუსეთში ცოცხალი პუტინის დროს დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისთვის.



პრემიერ-მინისტრი ხორვატიის რესპუბლიკაში საქართველოს ახლად დანიშნულ ელჩ ზაალ გოგსაძეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ხორვატიის რესპუბლიკაში ზაალ გოგსაძეს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა დიპლომატს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

საუბარი შეეხო საქართველოსა და ხორვატიის რესპუბლიკას შორის ორმხრივ ურთიერთობებსა და წარმატებულ თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში.

სალომე ზურაბიშვილი: „20 პოლიციის მანქანა ცისფერი გალერეის უკანა ეზოში... მხატვარი ესოდენ საფრთხეს უქმნიდეს სახელმწიფოს?“

– 20 პოლიციის მანქანა ცისფერი გალერეის უკანა ეზოში... მხატვარი ესოდენ საფრთხეს უქმნიდეს სახელმწიფოს???? ცოტა არ იყოს, სხვა ეპოქას გვახსენებს და თანამედროვე საქართველოს კი ნამდვილად არცხვენს! – წერს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და ეროვნულ გალერეასთან მიმდინარე სანდრო სულაბერიძის სოლიდარობის აქციას ეხმაურება.

„მეც პატიმარი და პოლიტპატიმარი ვიყავი, მაგრამ თამაშის წესებს ვიცავდი“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მიხედვით, ჩვეულებრივი პატიმარი იყო, ახლაც აიტანოს ციხის ყოფა, როგორც ჩვეულებრივმა პატიმარმა.

სააკაშვილი არავითარი პრეზიდენტი აღარ არის, ჩვეულებრივი პატიმარია. როცა ადამიანს აპატიმრებენ, მას ყოველგვარი სტატუსი ერთმევა. პრეზიდენტი იყო, გენერალი თუ პროფესორი, ყველამ მიიღოს ის სტატუსი, რა სტატუსიც ამ ეტაპზე აქვს. დავუშვათ, სასამართლოს განაჩენი სამართლიანი არ არის. ეს სხვა საუბრის თემაა. ისტორია ნამდვილ განაჩენს გამოუტანს.

მეც პატიმარი და პოლიტპატიმარი ვიყავი. როგორც პატიმარი, თამაშის წესებს მეც ვიცავდი და ციხეში ერთი ამბავი არ ამიტეხია, პერსონალი არ შემიწუხებია. პოლიტიკური ხერხებით ვიქცეოდი, 60-დღიანი შიმშილობა გამოვაცხადე და გლდანის ციხეში ხალხის წამება შევაჩერე, პლუს, იატაკქვეშა პოლიტიკური ორგანიზაცია შევქმენი და ჩემს მეგობრებთან ერთად მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს თავისივე ციხეში საკმაოდ ეფექტურად ვებრძოდით.

არასოდეს დაგვიჩივლია. მორგში რომ ჩამიყვანეს, მაშინაც ერთი ამბავი არ ამიტეხია.

– მორგში რატომ ჩაგიყვანეს?

– ეს ცალკე საუბრის თემაა. მათი ხელიდან მკვდარი ვიყავი.

– ციხის საავადმყოფოში მოხვდით?

– არა. ისე ძლიერად მცემეს, რომ... საავადმყოფოში მაშინაც არ გადამიყვანეს. მორგში შიმშილობა დავიწყე. მე, მოშიმშილე ადამიანი, მცემეს, რომელმაც პოლიტიკური შიმშილობა გამოვაცხადე და ციხეში კანონიერების აღდგენა მოვითხოვე. იმ ციხეში პატიმრებს, ელემენტარულად, ინფორმაციის მიღების უფლება არ ჰქონდათ. ადვოკატებს არ უშვებდნენ.

ადამიანებს აკავებდნენ და ხოცავდნენ. ამის წინააღმდეგ მე გავილაშქრე, პოლიტიკური შიმშილობა გამოვაცხადე და 30-დღიანი შიმშილობის შემდეგ ისე სასტიკად მცემეს, ეგონათ, მკვდარი ვიყავი და მორგში ჩამიყვანეს.

მორგში ჩამიყვანეს მძიმე ტრავმითა და ტვინის შერყევით. თავი ორ ადგილზე ჩამტვრეული მქონდა, ასევე – ცხვირი, კბილები ჩამინგრიეს.

ამის მიუხედავად, როცა შიმშილობა შევწყვიტე, ლამის სიკვდილის პირას ვიყავი, მაგრამ საავადმყოფოში მაშინაც არ გადამიყვანეს, ჩვეულებრივ საკანში დამტოვეს. სააკაშვილს კი ამხელა პრივილეგიები აქვს. მეც პატიმარი ვიყავი და სააკაშვილის პატიმარია?! მნიშვნელობა არა აქვს, პრეზიდენტი იყო თუ არა.

აკადემიკოსი კაცი იყო და არ დაინდეს, გულის შეტევა მოუვიდა და საავადმყოფოში არ გადაიყვანეს. აკადემიკოსი უფრო დიდია თუ პრეზიდენტი?!

იმხელა ფართში, რომელიც უჭირავს სააკაშვილს, ნაცხელისუფლების დროს მათ 100-ზე მეტი პატიმარი ჰყავდათ. „სმენკები“ იყო. ერთ ჩვეულებრივ საწოლზე ოთხი კაცი მოდიოდა.

პატიმრები მორიგეობით იძინებდნენ. ასეთ „სმენკაში“ იყვნენ აკადემიკოსი და ის გენერლები, რომლებმაც ცხინვალის ომის დროს ღირსეულად იბრძოლეს, უდიდესი ვაჟკაცობა გამოიჩინეს, ცხინვალი აიღეს.

გენერლები, რომლებმაც, ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილის გამოცხადებული კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა (გარკვეული სამართლიანობის საკითხი იყო) უმაღლეს დონეზე შეასრულეს, მთავარსარდლის ბრძანებას ასრულებდნენ, არ დაინდეს.

– დასავლეთის წამყვანი გაზეთები წერენ, რომ სააკაშვილს აწამებენ, კლავენ. ისინი სააკაშვილის გამო საქართველოს თავს ესხმიან. რას იტყვით?

– დღევანდელი ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის დროინდელი ხელისუფლების მსგავსი არ არის. თქვენ იცით, რომ როცა პატიმარი ვიყავი, ევროკომისარი ადამიანის უფლებების საკითხებში ციხეში არ შემოუშვეს.

ნატოს გენმდივნის მოადგილე და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდნენ ჩემ სანახავად და ისინი ციხეში შემოუშვეს. წითელი ჯვარი არ შემოუშვეს. შეადარეთ ახლანდელი ხელისუფლება და მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი.

ამ ხელისუფლებას მეტი დემოკრატია და მეტი თავისუფლება მოეთხოვება, რომ არ დაუშვას ის, რაც მიხეილ სააკაშვილის დროს სუფევდა. კიდევ კარგი, დღევანდელი ხელისუფლება არ არის მიხეილ სააკაშვილის არაადამიანური, ავტოკრატიული რეჟიმის მსგავსი.

„გადაგვიყვანონ დროულად, 3-ბალიან მინისძვრასაც ვერ გაუძლებს“ — სოციალურად დაუცველების აქცია გორში

გორში ე.წ. ნარკოლოგიურის შენობაში მცხოვრებმა სოციალურად დაუცველებმა აქცია გამართეს. ადგილობრივები მერიას ალტერნატიული ფართის გამოყოფას სთხოვენ.

მათი თქმით, შენობა ავარიულია და მიწისძვრის შემთხვევაში, შესაძლოა, დაინგრეს.

– ინგრევა ბინა და გადაგვიყვანონ სადმე, სანამ უბედურება არ მოხდა აქაც. როგორც ახლა თურქეთში მოხდა, ისე მოხდება აქაც, ავარიული ბინაა. თბილისიდანაც იყვნენ, ჟურნალისტებმაც გააშუქეს, ყველაფერი რაც შესაძლებლობა ჰქონდა აშუქებენ ტელევიზიები, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. ჩვენი მოთხოვნაა, გადაგვიყვანონ დროულად, 3– ბალიანსაც ვერ გაუძლებს ეს ბინა, – თქვა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

სოციალურ საცხოვრისში 85 ოჯახი ცხოვრობს, მათი გაუსაძლისი ყოფა სახალხო დამცველის ანგარიშშიც მოხვდა. სოციალურად დაუცველები კიდევ ერთ აქციას დღეს, 13 თებერვალს, გორის მერიასთან გეგმავენ.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების აგრესიულობა იზრდება. მიუხედავად ამისა, რუსებმა ვერავითარ ხელშესახებ წარმატებას ვერ მიაღწიეს. სამაგიეროდ, მოიმატა მსხვერპლმა ოკუპანტების რიგებში. თუ ადრე რუსები დღეში 700-800 მეომარს კარგავდნენ, ახლა ეს რიცხვი 1000-მდე გაიზარდა. დღეისათვის რუსების დანაკარგების სურათი შემდეგია: ტანკები – 3.267; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 6.474; არტილერია – 2.270; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებები – 234; თვითმფრინავები – 295; ვერტმფრენები – 286; ფრთოსანი რაკეტები – 857; განადგურებულია 137.780 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

პრემიერ-მინისტრმა შინაგან საქმეთა მინისტრთან და მოადგილეებთან სამუშაო შეხვედრა გამართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრთან ვახტანგ გომელაურთან და მის მოადგილეებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ სასაზღვრო პოლიციის უფროსი ნიკოლოზ შარაძე და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმები და 2023 წელს დაგეგმილი პროექტები. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს განვითარების სტრატეგია – ხედვა 2030-ის განხორციელების დინამიკას, სამინისტროს კომპეტენციის მიმართულებით.

შეხვედრის დასაწყისში შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობის მეთაურს პოლიციის მიერ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით მიღწეული შედეგები და რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ მონაცემები გააცნო.

როგორც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი უპრეცედენტოდ მაღალია და 62%-ს აღემატება, ხოლო დანაშაულის რაოდენობა შემცირებულია 3.39%-ით, მათ შორის, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობის მეთაურს დეტალურად გააცნო ყველა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტი.

2022 წელს მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტმა თბილისის ყველა რაიონი მოიცვა. თბილისის შემდეგ რუსთავი გახდა პირველი ქალაქი, სადაც მართლწესრიგის ოფიცრები უახლოეს დღეებში შეუდგებიან საქმიანობას. რეფორმა გრძელდება და მართლწესრიგის ოფიცრები ეტაპობრივად საქართველოს ყველა დიდ ქალაქში დაიწყებენ მუშაობას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობის მეთაურს მადლობა გადაუხადა პოლიციელთა სამუშაო პირობებისა და სოციალური გარანტიების გაუმჯობესებაში მხარდაჭერისთვის.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა ქართველ მეხანძრე-მაშველებს, რომლებიც ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებიან, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში აქტიურად არიან ჩართული და სტიქიის ზონაში, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებენ სამაშველო ღონისძიებებს.

შეხვედრის დასასრულს ხაზი გაესვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამართული ფუნქციონირების, ქვეყანაში მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის პრიორიტეტულია როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ასევე, პოლიციელებისთვის ღირსეული პირობების და სამინისტროს თითოეული თანამშრომლისთვის სოციალური გარანტიების შექმნა.

ვარკეთილის სამხედრო ბაზაზე სამხედროს ოცმეთაური და ერთ-ერთი რიგითი დაჭრა

სისხლიანი გარჩევა სამხედრო ბაზაზე – დაჭრილია ოცმეთაური და რიგითი ჯარისკაცი. მათ ცივი იარაღით ჭრილობები მოქმედმა სამხედრომ მიაყენა. შემთხვევა ვარკეთილში მდებარე საბრძოლო საინჟინრო ბატალიონში რამდენიმე დღის წინ მოხდა.

ოჯახის ინფორმაციით, სამხედრო წვრთნების დროს 28 წლის ლაშა ბოლქვაძეს ოცმეთაურმა აღმოუჩინა მობილური ტელეფონი. ამის შემდეგ, სავარაუდოდ, მან ჯარისკაცს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სხვების თანდასწრებით დაამცირა.

როგორც ბოლქვაძის ოჯახის წევრები ყვებიან, სამხედრო და მეთაური ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების შემდეგ, მათი თქმით, ლაშა ბოლქვაძე ოცმეთაურმა და რამდენიმე სამხედრომ ბნელ ოთახში ჩაიყვანეს და სასტიკად სცემეს. მომხდარი ინციდენტის შემდეგ, სავარაუდოდ, თავდაცვის მიზნით 28 წლის სამხედრომ ოცმეთაური და ერთ-ერთი რიგითი დაჭრა.

ამ დროისთვის ორივე დაჭრილის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ისინი უკვე ბინაზე გაწერეს.

მომხდარზე დაკავებულია ლაშა ბოლქვაძე და მას წინასწარი პატიმრობა აქვს მისჯილი.

დაკავებული სამხედროს დედის ცნობით, მისი შვილის კონფლიქტი ოცმეთაურთან მობილურის გამო მოხდა.

დაკავებულის დედის ინფორმაციით, დაკავებულის კონფლიქტი ოცმეთაურთან მობილური ტელეფონის გამო დაიწყო.

„მთავარ არხთან“ საუბრისას ნანა კონცელაძე ჰყვება, რომ დაპირისპირებისა და დაკავების ზუსტი მიზეზები მისთვის ჯერჯერობით, უცნობია.

– შეიძლება უთანხმოება მოუვიდა, სადაც მუშაობდა, იქ. ერთი გამოწერილია, მეორე ჯერ კიდევ საავადმყოფოშიაო. ახლახან დაიწყო მუშაობა, ორი ხელფასიც არ ექნება აღებული. არ ვიცი, ზეწოლა იყო, რა იყო. ასე მგონია, ზეწოლა იყო ზემოდან, სხვა რა იქნებოდა, ვის რას უშავებდა.

მეც ასე მითხრეს, რომ უფროსთან ჰქონდა კონფლიქტი მობილურის გამო. დეტალებზე ჯერჯერობით არაფერს მეუბნებიან. კონტაქტზე ლაშა ახლა გამოვიდა, ჯერ ჩემთან არ დაურეკავს, მხოლოდ მის ძმას დაურეკა, – თქვა ნანა კონცელიძემ.

მარნეულში კაცმა მეგობარი ცივი იარაღით დაჭრა და პოლიციას ჩაჰბარდა

სისხლიანი დაპირისპირება მარნეულში – 40 წლის ელშად ამირასლანოვმა მეგობარს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. გარჩევას წინ, სავარაუდოდ, სიტყვიერი შელაპარაკება უძღოდა.

36 წლის რაფიგ მამედოვი საავადმყოფოში თავად მივიდა. ექიმის თქმით, დაჭრილი 36 წლის კაცის მდგომარეობა მძიმეა და მართვის სუნთქვაზე იმყოფება. მისი მდგომარეობა კლინიკაში დამძიმდა, ვინაიდან დიდი რაოდენობით სისხლი დაკარგა.

– შემოვიდა 21:00 საათზე თვითდინებით, აღენიშნებოდა ნაკვეთი ჭრილობა კისრის მიდამოში. ჩაუტარდა ოპერაცია. ამ ეტაპზე იმყოფება რეანიმაციულ განყოფილებაში. მდგომარეობა არის უკიდურესად მძიმე, მართვით სუნთქვაზეა. ღრმა ჭრილობაა და ბევრი სისხლი აქვს დაკარგული, – ამბობს რეანიმატოლოგი სულხან სარალიძე.

ინციდენტი 11 თებერვალს მოხდა. ადგილობრივების თქმით, ელშად ამირასლანოვმა მეგობარს ჭრილობები ყელის არეში, სავარაუდოდ, სამართებლით მიაყენა. ამირასლანოვი სალონში მუშაობს. ადგილობრივების ინფორმაციით, კონფლიქტში მონაწილე პირები ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

– მითხრეს, რომ ჯერ დალიეს და შემდეგ იჩხუბეს. ჩხუბის მიზეზი არ ვიცი. დაპირისპირებულები ერთმანეთს იცნობდნენ. ერთი დალაქია, მეორე კი ამ ეზოში ცხოვრობს. როგორც ვიცი, ჯერ ლუდი დალიეს და მერე იჩხუბეს. ამბობენ, რომ ერთი დაჭრილია. დაჭრილი საავადმყოფოში ტაქსით გადაიყვანეს. დალაქი პოლიციას თავად ჩაჰბარდა, – ამბობენ ადგილობრივები.

პრემიერ-მინისტრმა სამუშაო შეხვედრაზე „საქართველოს რკინიგზის“ 2023 წლის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამუშაო შეხვედრა გამართა ვიცეპრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან ლევან დავითაშვილთან, მინისტრის მოადგილესთან გურამ გურამიშვილთან და სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურ დირექტორთან დავით ფერაძესთან.

ხაზი გაესვა, რომ 2022 წელი „საქართველოს რკინიგზისთვის“ საუკეთესო წელი იყო მოგების თვალსაზრისით და მოგებამ შეადგინა 283 მილიონი ლარი, რაც რეკორდული მაჩვენებელია. ასევე, რეკორდული იყო გადაზიდვების მაჩვენებელი და გადაზიდვების მიმართულებით წლიურმა ზრდამ 22% შეადგინა.

იმსჯელეს რკინიგზის განვითარების სამომავლო გეგმებზე. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს იყო პროგრესი მოდერნიზაციის კუთხით. ამასთან, აღინიშნა, რომ ტვირთის გამტარუნარიანობა მოდერნიზაციის შედეგად, 2024 წლის ბოლოსთვის 27 მილიონი ტონიდან 48 მილიონამდე გაიზრდება.

აღინიშნა, რომ მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა სავაგონო პარკის განახლებისა და ინფრასტრუქტურული გაჯანსაღების მიმართულებით. კომპანიისთვის 100 ქართული წარმოების ვაგონი უკვე მოწოდებულია. რკინიგზის მოდერნიზაცია და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მიმდინარე წელსაც გაგრძელდება და მისი ფუნქციონირება უფრო ეფექტური გახდება.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის 87% დასრულებულია. მონაკვეთი 180 კილომეტრიანია და მიმდინარე ეტაპზე სატესტო რეჟიმში მუშაობს. პროექტის პირველი ფაზის დასრულების შედეგად, რაც 2024 წლისათვის არის დაგეგმილი, მონაკვეთის გამტარუნარიანობა 5 მლნ ტონა იქნება.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სარკინიგზო ტრანსპორტის დარგის რეფორმირებისა და რესტრუქტურიზაციის შედეგად, 150-წლიანი ისტორიის მქონე „საქართველოს რკინიგზა“ გახდება უფრო კონკურენტუნარიანი და მნიშვნელოვნად გაიზრდება მისი კომერციული ინტერესების სრულად რეალიზების, ასევე უსაფრთხოების მართვის შესაძლებლობები.

დაკავებულია ბათუმის პოლიციის მე-3 განყოფილების უფროსი დეტექტივი

მოქალაქისთვის თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვის ფაქტზე ბათუმში პოლიციის თანამშრომელი დააკავეს. ბათუმის პოლიციის მე-3 განყოფილების უფროს დეტექტივს, გიორგი აბდუშელიძეს, პროკურატურა განზრახ უკანონო დაკავებას ედავება ძალადობას, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. ინფორმაციას გამოცემა „ბათუმელები“ ავრცელებს.

შემთხვევა 2023 წლის 2 იანვარს ბათუმში, თბილისის მოედანზე მოხდა. გამოძიების ვერსიით, პოლიციელმა უკანონოდ დააკავა მოქალაქე და იგი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა, სადაც ხელიც კი დაარტყა.

გამოცემის ინფორმაციით, 10 თებერვალს მოსამართლე ნინო სახელაშვილმა პოლიციელი 20 ათასი ლარი გირაოს საფუძველზე გაათავისუფლა. პოლიციელი აღკვეთის ღონისძიების ფარგლებში ასევე დატოვებს თანამდებობას.

სასჯელის თავისუფლების 5-დან 8 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს, ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას სამ წლამდე ვადით ან უამისოდ.

პრემიერ-მინისტრმა „ბაკურიანი 2023-ის“ ფარგლებში მოწყობილი ახალი სათხილამურო ტრასები დაათვალიერა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვიცეპრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან ლევან დავითაშვილთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის – „ბაკურიანი 2023-ის“ ფარგლებში დაბა ბაკურიანში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის ახალი საშეჯიბრებო ტრასები დაათვალიერა და ჩემპიონატის მოსამზადებელ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

პრემიერ-მინისტრი დიდველის ახალ საშეჯიბრებო ტრასაზე იმყოფებოდა და იქ არსებული ინფრასტრუქტურა პირადად დაათვალიერა.

– მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა ჩვენი მთავრობის მიერ. სამი ახალი საბაგირო ავაშენეთ, 6 ახალი ტრასა მოეწყო და 30 კილომეტრის მანძილზე ახალი გათოვლიანების სისტემა. ეს არის ყველაზე თანამედროვე სისტემა, რომელიც დამონტაჟდა ბაკურიანში. ჩვენ ველოდებით მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას, რომელიც ოფიციალურ სტარტს აიღებს 18 თებერვალს და 5 მარტამდე გაგრძელდება. დიდი პატივია, რომ ვუმასპინძლოთ ამ ჩემპიონატს. 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონატში. ყველაფერი, რაც აქ გაკეთდა, დარჩება ბაკურიანს და საქართველოს. ჯამში 270 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა ჩვენი მთავრობის მიერ და ეს უნიკალური ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სისტემები მოეწყო იმისთვის, რომ ღირსეულად ჩავატაროთ მსოფლიო ჩემპიონატი.

ასევე გეტყვით, რომ ჩვენ დავიწყეთ მზადება 2025 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩასატარებლად, – განაცხადა პრემიერმა.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურად ჩემპიონატისთვის სულ 6 ახალი საშეჯიბრებო ტრასა მოეწყო.

– ჩვენი მთავრობის მუშაობის შედეგად შარშან გვქონდა უპრეცედენტოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა, 10.1% იყო ეკონომიკური ზრდა. მაშინ როცა, მთელ მსოფლიოში არის რეცესია, გაურკვევლობა, არაპროგნოზირებადობა, ჩვენ ამ გამოწვევების მიუხედავად, ჩვენმა ხელისუფლებამ, მთავრობამ, ყველამ ერთად, მთელმა გუნდმა, მოვახერხეთ ყველაზე დიდი განსაცდელის არიდება ჩვენი ქვეყნისთვის – ეს არის ომი. ეს არის ის მცდელობა, რომელიც სამწუხაროდ, არ ჩერდება, რომ რამენაირად გადმოსულიყო ეს კონფლიქტი ჩვენს ქვეყანაში. ამის თაობაზე ჩვენ პირდაპირ მოვისმინეთ განცხადებები უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომ მათი მიზანი იყო მეორე ფრონტის გახსნა. ამ მიზანს ემსახურებოდა ყოფილი პრეზიდენტ საკაშვილის შემოგზავნა საქართველოში და ძალიან ბევრი პროვოკაცია, რომელიც მათ მიერ არ წყდება, სამწუხაროდ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბაკურიანში ჟურნალისტებს განუცხადა.

მან უკრაინელ ხალხს მშვიდობა და ომის დროულად დასრულება უსურვა.

– მე ერთი რამ მინდა ვუსურვო ყველას და მათ შორის ჩვენს უკრაინელ მეგობარ ხალხს – მშვიდობა, ამ ომის დროულად დასრულება და ტერიტორიების დაბრუნება, მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა, რომ თქვენ ხედავთ, ომის დაწყების დღიდან დღემდე უკვე 20% არის ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიის, ათი ათასობით ადამიანია დაღუპული, ასეულობით მილიარდი დოლარის ზარალი მიადგა უკრაინას. ზოგი ამბობს, რომ ეს არის უკვე ტრილიონი დოლარი, ზოგი ამბობს – 700-800 მილიარდი. ამას ვინ მოთვლის.

რაც მთავარია, გარდა სამხედროებისა, ძალიან მძიმე დანაკარგები აქვს ორივე მხარეს, სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, მოქალაქეები დაიღუპნენ, ბავშვები. ამ ზარალს და დანაკლისს, ამ ტკივილს ვერაფერი აღადგენს.

ვუყურებთ, რომ ომი არ ჩერდება, მცდელობაც არ ჩანს რეალურად უნდა ვთქვათ პირდაპირ, რომ ეს ომი გაჩერდეს, მხარეები დაუბრუნდნენ რამენაირად მოლაპარაკების მაგიდას, ეს, რა თქმა უნდა, არის შემაშფოთებელი. ამის შედეგად გარემო, რომელიც არის უკრაინაში შექმნილი და მთელ მსოფლიოში, რეგიონში, კიდევ უფრო მეტად არაპროგნოზირებადი გახდა. შესაბამისად მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, არის და იქნება ჩვენი ხალხის ინტერესების დაცვა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა. რაც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს სჭირდება, ჩვენ მხოლოდ იმ გადაწყვეტილებას მივიღებთ და იმ საქმეს გავაკეთებთ, – აღნიშნა პრემიერმა.

რუსეთი მოლდოვაში გადატრიალებას გეგმავდა

მოლდოვა რუსეთისათვის კარგა ხანია წარმოადგენდა მსუყე ლუკმას. მოლდოვის მოსახლეობის 42% მხარს უჭერს ევროკავშირში შესვლას, ხოლო 40% ევრაზიულ კავშირს ემხრობა. დანარჩენს საკუთარი პოზიცია ვერ გაურკვევია. მოლდოვის არმია სულ 6.000-ს მებრძოლს ითვლის. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, აქ საინტერესო სურათია. ყველაზე დიდი რეიტინგით საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სარგებლობს (40%). მეორეზეა ვლადიმერ პუტინი (38%). მოლდოვის მოქმედი პრეზიდენტი მაია სანდუ კი მხოლოდ მესამეა. ამრიგად, მოლდოვის მოსახლეობაში მზარდი პოლარიზაცია სახეზეა.

აღსანიშნავია მეორე მომენტიც: მოლდოვაში ძლიერი პრორუსული ლობია. ესაა ე.წ. ღვინის მაფია. ის რუსული ბაზრითაა დაინტერესებული, რადგანაც იქ კოლოსალურ მოგებას იღებს. სწორედ ამ დაჯგუფების წევრი იყო ექსპრეზიდენტი დოდონი.

არსებობენ რიგი რეგიონები, რომლებიც მხარს უჭერენ რუსეთთან შეერთებას. უწინარეს ყოვლისა, ესაა დნესტრისპირეთი. ამის შემდეგ უნდა დავასახელოთ გაგაუზია. ამრიგად, უდავოდ არსებობს სოციალური ბაზა პრორუსული განწყობილებებისათვის. დავუმატოთ ამას მოლდოვის სახელმწიფოს სისუსტე, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ავადმყოფობა, კორუფცია და ვითარების მთელი ტრაგიზმი ცხადი გახდება.

არავინ არ გააოცა უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის სიტყვებმა, რომ მოლდოვაში პრორუსული გადატრიალება იგეგმება. ზელენსკიმ ეს ბრიუსელში ევროსაბჭოს ტრიბუნიდან განაცხადა.

– ჩვენ გაგვაჩნია რუსული დაზვერვის მაღალჩინოსნების საუბრების ჩანაწერები, რომლებიც ადასტურებს, რომ მოლდოვაში რუსები გადატრიალებას გეგმავდნენ! ეს ჩანაწერები ჩვენს მოლდოველ კოლეგებს გადავეცით, – თქვა ზელენსკიმ.

მოლდოვის კონტრდაზვერვამ უკრაინის პრეზიდენტის სიტყვები დაადასტურა. დიახ, უკრაინელებმა მართლაც გადასცეს მათ რუსების ვრაგული ზრახვების დამადასტურებელი მასალები. სათანადო შემოწმებამ ცხადყო, რომ ყოველივე სიმართლეა.

– გადატრიალება მართლაც იგეგმებოდა! ახლა ხორციელდება ზომები, რომ სიტუაცია განვმუხტოთ და მისი ორგანიზატორები დავაკავოთ, – აცხადებს მოლდოვის კონტრდაზვერვის პრესსამსახური.

უკანასკნელ ხანს რუსეთმა უკრაინაზე მასირებული შეტევა დაიწყო. მას უდიდესი სირთულეები შეხვდა. რუსულმა არმიამ კრახი განიცადა უგლედართან; შეჩერებულია ოკუპანტების წინსვლა ბახმუტთან, მარინკასთან, ავდეევკასთან.

– ამიტომაც რუსები ცდილობდნენ გადატრიალების მოწყობასა და მაია სანდუს დემოკრატიული მთავრობის დამხობას, რათა მოლდოვა უკრაინაზე დარტყმისათვის პლაცდარმად გამოეყენებინათ, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

ამჯერად ოკუპანტების განზრახვა ჩაიშალა.

ზელენსკი: „ევროკავშირში, სავარაუდოდ, ორი წლის შემდეგ შევალთ“

უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ მისმა ევროპულმა ტურნემ წარმატებით ჩაიარა. უკრაინის ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე განმტკიცდა. ევროპის ქვეყნების უმრავლესობა მზადაა, მიაწოდონ უკრაინას იარაღი.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, როდის გახდება უკრაინა ნატოს ან ევროკავშირის წევრი, ზელენსკიმ მიუგო:

– ევროკავშირში, სავარაუდოდ, ორი წლის შემდეგ შევალთ. რაც შეეხება ნატოს, ეს საკითხი რუსეთზე გამარჯვების შემდეგ დადგება.

დონბასში ბრძოლები გრძელდება

დონბასის დანარჩენ ტერიტორიაზეც გააფთრებული ბრძოლებია. რუსები შეეცადნენ კრემენოე-სვატოვოსთან უკრაინელთა თავდაცვის გარღვევას. ეს მარცხით დამთავრდა. ოკუპანტები შეეცდებიან ლიმანისაკენ და სევერსკისკენ გაჭრას.

ცხარე ბრძოლებია მარინკასთან და ავდეევკასთან. ამაო გამოდგა რუსების ყველა მცდელობა, ალყაში მოექციათ ეს დასახლებული პუნქტები. ფრონტის ხაზი ავდეევკასა და მარინკასთან უძრავია.

უკრაინის სამხრეთ რეგიონში პოზიციური ბრძოლები გრძელდება. რუსმა ოკუპანტებმა დაბომბეს ქალაქი ზაპოროჟიე. შედეგად განადგურებულია ქალაქის ენერგოსექტორი, დანგრეულია სახლები. დაიღუპა 12 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ბავშვებიც.

უკრაინელთა საპასუხო დარტყმების შედეგად განადგურდა ოკუპანტების ყაზარმები. პარალელურად უკრაინელმა პარტიზანებმა განახორციელეს აქციები ოკუპირებულ ბერდიანსკში. შედეგად ლიკვიდირებულია 22 რუსი ჯარისკაცი და 4 კოლაბორაციონისტი.

მსგავსი ვითარებაა ხერსონის ოლქშიც. ოკუპანტები ხერსონის დაბომბვას განაგრძობენ. დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეებს შორის.

პასუხად უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები ხერსონსჩინაზე დნეპრის მარცხენა ნაპირზე. განადგურებულია ოკუპანტების 12 ტანკი და 6 საბრძოლო მანქანა. აფეთქებულია რუსების 3 ყაზარმა. პარალელურად უკრაინელებმა განახორციელეს რეიდები დნეპრის მარცხენა ნაპირის ტერიტორიაზე. ოკუპანტების რიგებში დიდძალი მსხვერპლია.

უკრაინის მიმართულებით ოკუპანტებმა 68 რაკეტა გაუშვეს. აქედან უკრაინელებმა 55-ის ჩამოგდება შეძლეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბახმუტი კვლავ მტკიცედ დგას

რუსეთის ანონსირებული ზამთრის შეტევა დაიწყო. უკრაინული არმიის სარდლის, გენერალ ზალუჟნის ცნობით, დღეისათვის ყველაზე ცხელი წერტილებია: ბახმუტი, სოლედარის გარეუბნები, ავდეევკა და მარინკა.

ბახმუტთან გააფთრებული ბრძოლებია. რუსი ოკუპანტების შეტევა შეჩერებულია. რუსებმა ვერ შეძლეს ვერც ბახმუტ-სლავიანსკის, ვერც ბახმუტ-კონსტანტინოვკის ტრასების გადაკეტვა. მართალია, ერთხანს რუსულმა არმიამ ბახმუტ-კონსტანტინოვკის ტრასაზე გასვლა მოახერხა, მაგრამ უკრაინელებმა ელვისებური კონტრშეტევით ოკუპანტებს უკან დაახევინეს. ცხარე ბრძოლებია კრასნაია გორასთან და სხვა ახლომახლო დასახლებულ პუნქტებთან.

– ბახმუტი კვლავაც მტკიცედ დგას. ქალაქზე უკრაინული დროშა ფრიალებს, – თქვა უკრაინული არმიის სარდალმა, გენერალმა ზალუჟნიმ.

სომხეთ-თურქეთის საზღვარი გახსნეს

სომხეთ-თურქეთის საზღვარი გახსნეს. მიზეზი თურქეთში მომხდარი მიწისძვრაა. საზღვრის გახსნის შემდეგ შესაძლებელია იქ ჰუმანიტარული ტვირთის გადატანა.

საზღვარი უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში პირველად გაიხსნა.

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მხატვარ სანდრო სულაბერიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

მოება. 177-ე მუხლის მე-2 ნაწ. ა ქვეპუნქტი – ქურდობა! რამდენადაც კრიმინალის ნიშნები მის აქციას არანაირად არ ახასიათებდა და დაუგეგმავი იმპროვიზაციის სამართლებრივ ჭრილში გადაყვანის მცდელობა არის უსამართლობა, არაკომპეტენტურობა და ავტორიტარიზმის ნიშანი, გადავწყვიტეთ, წერილით მივმართოთ შს მინისტრს თხოვნით, რომ კვალიფიკაცია შეეცვალოს სანდროს მიმართ დაწყებულ სამართალწარმოებას და პრობლემა გადაიჭრას ხელოვანსა და გალერეას შორის მოლაპარაკების საფუძველზე:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ვახტანგ გომელაურს, ქართული სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების განცხადება სანდრო სულაბერიძის აქციასთან დაკავშირებით: ეროვნულ გალერეაში გაიხსნა გამოფენა „ავტოპორტრეტი სარკესთან“, რომლის მონაწილე ახალგაზრდა ხელოვანმა ჩამოხსნა საკუთარი ნამუშევარი და მის ადგილას საღებავით კედელზე დაწერა ფრაზა – „ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელია!“ ამ ფაქტმა დაბნეულობა გამოიწვია, რამდენადაც ფორმალურად დაირღვა ექსპოზიციის რეგლამენტი, რადგან საკუთარი ნამუშევრის ამგვარი ცვლილება კურატორთან შეთანხმებული არ ყოფილა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხატვარი არ შეხებია სხვა ნამუშევარს, არ დაუზიანებია არაფერი და არავინ, ტექსტის შინაარსი ზოგადი და ფილოსოფიური სლოგანია. ის არავისთვის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი არ არის.

მოულოდნელობის ეფექტის ფონზე გალერეის ადმინისტრაციამ გამოიძახა პატრული და დაიწყო სანდრო სულაბერიძის მიმართ საქმის წარმოება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

სპორტი

შედეგები

11 თებერვალი

ფეხბურთი

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

ფინალი

რეალი-ალ ჰილალი 5:3

მატჩი მე-3 ადგილისთვის

ალ აჰლი-ფლამენგო 2:4

ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ჰემი-ჩელსი 1:1
არსენალი-ბრენტფორდი 1:1
კრ.პალასი-ბრაიტონი 1:1
ლესტერი-ტოტენჰემი 4:1
საუთჰემპტონი-ვულვზი 1:2
ფულემი-ნოტინგემი 2:0
ბორნმუთი-ნიუკასლი 1:1

სატუნირო ცხრილი:

1.არსენალი	21	16	3	2	46-18	51
2.სიტი	21	14	3	4	53-21	45
3.მანჩესტერი	22	13	4	5	36-28	43
4.ნიუკასლი	22	10	11	1	35-13	41
5.ტოტენჰემი	23	12	3	8	42-35	39
6.ბრაიტონი	21	10	5	6	39-28	35
7.ფულემი	23	10	5	8	34-30	35
8.ბრენტფორდი	22	8	10	4	36-29	34
9.ჩელსი	22	8	7	7	23-22	31
10.ლივერპული	20	8	5	7	34-28	29
11.ასტონ ვილა	21	8	4	9	25-31	28
12.კრ.პალასი	22	6	7	9	20-30	25
13.ლესტერი	22	7	3	12	36-38	24
14.ნოტინგემი	22	6	6	10	17-37	24
15.ვულვზი	22	6	5	11	17-31	23
16.ვესტ ჰემი	22	5	5	12	19-27	20
17.ლიდსი	21	4	7	10	28-36	19
18.ევერტონი	21	4	6	11	16-28	18
19.ბორნმუთი	22	4	6	12	20-44	18
20.საუთჰემპტონი	22	4	3	15	18-40	15

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნლი-პრესტონი 3:0
ბლექპული-როტერჰემი 0:0
ბრისტოლი-ნორვიჩი 1:0
კარდიფი-მიდლსბრო 1:3
ქოვენთრი-ლუთონი 1:1
ქარ-მილუოლი 1:2
სანდერლენდი-რედინგი 1:0
სტოკი-ჰალი 0:0
უიგანი-ჰადერსფილდი 1:0
უოტფორდი-ბლექბერნი 1:1
შეფილდი-სუონსი 3:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ბოხუმი 3:0
ვერდერი-დორტმუნდი 0:2
მაინცი-აუგსბურგი 3:1
ფრაიბურგი-შტუტგარტი 2:1
ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი 1:3
ლაიფციგი-უნიონი 1:2

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	20	12	7	1	59-18	43
2.უნიონი	20	13	3	4	35-24	42
3.დორტმუნდი	20	13	1	6	40-26	40
4.ფრაიბურგი	20	11	4	5	32-31	37
5.ლაიფციგი	20	10	6	4	40-26	36
6.აინტრახტი	19	10	5	4	40-26	35
7.ვოლფსბურგი	20	8	6	6	38-26	30
8.ლევერკუზენი	20	8	3	9	33-32	27
9.ვერდერი	20	8	3	9	31-39	27
10.გლადბახი	19	7	5	7	34-29	26
11.მაინცი	20	7	5	8	30-32	26
12.კიოლნი	19	5	8	6	29-31	23
13.აუგსბურგი	20	6	3	11	25-36	21
14.ჰოფენჰაიმი	20	5	4	11	29-39	19
15.ბოხუმი	20	6	1	13	24-49	19
16.შტუტგარტი	20	3	7	10	23-36	16
17.ჰერტა	19	3	5	11	20-35	14
18.შალკე	20	2	6	12	14-41	12

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-პადერბორნი 3:4
ნიურნბერგი-რეგენსბურგი 1:0
კილი-მაგდებურგი 2:3
ჰაიდენჰაიმი-ჰამბურგი 3:3

სატუნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	20	17	2	1	42-7	53
2.რეალი	20	14	3	3	40-17	45
3.სოსიედადი	20	12	3	5	28-19	39
4.ატლეტიკო	20	10	5	5	29-17	35
5.ბეტისი	21	10	4	7	27-22	34
6.ბილბაო	21	9	5	7	31-22	32
7.რაიო	20	9	5	6	27-22	32
8.ვილიარეალი	20	9	4	7	22-17	31
9.ოსასუნა	20	8	5	7	19-19	29
10.მალიორკა	21	8	4	9	16-20	28
11.ხირონა	21	6	6	9	27-31	24
12.სევილია	21	6	6	9	23-29	24
13.ვალიადოლიდი	20	7	2	11	15-28	23
14.სელტა	20	6	5	9	22-32	23
15.ალმერია	21	6	4	11	25-34	22
16.კადისი	21	5	7	9	17-33	22
17.ესპანიოლი	20	4	9	7	24-30	21
18.ვალენსია	21	5	5	11	26-26	20
19.ხეტაფე	20	4	6	10	17-27	18
20.ელჩე	20	1	6	13	15-40	9

ესპანეთი. პირველი დივიზიონი

ალმერია-ბეტისი 2:3
სევილია-მალიორკა 2:0
ვალენსია-ბილბაო 1:2

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

სარაგოსა-ალავესი 1:4
ლევანტე-ანდორა 1:0
მირანდესი-ვილიარეალი ბ 2:1
ლას პალმასი-ლუგო 3:0

სატუნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	21	18	2	1	51-15	56
2.ინტერი	21	14	1	6	41-26	43
3.ატალანტა	22	12	5	5	41-24	41
4.მილანი	22	12	5	5	38-30	41
5.რომა	22	12	5	5	29-19	41
6.ლაციო	22	11	6	5	37-19	39
7.ტორინო	22	8	6	8	22-23	30
8.ბოლონია	21	8	5	8	28-31	29
9.უდინეზე	21	7	8	6	28-23	29
10.ემპოლი	22	6	9	7	21-28	27
11.მონცა	21	7	5	9	27-30	26
12.იუვენტუსი	21	12	5	4	33-17	26
13.ლეჩე	22	5	9	8	22-25	24
14.ფიორენტინა	21	6	6	9	23-28	24
15.სასუოლო	21	6	5	10	24-31	23
16.სალერნიტანა	21	5	6	10	25-41	21
17.სპეცია	22	4	7	11	19-37	19
18.ვერონა	21	3	5	13	19-33	14
19.სამპდორია	21	2	4	15	10-36	10
20.კრემონეზე	21	0	8	13	15-37	8

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

იტალია. სერია ა

ემპოლი-სპეცია 2:2
ლეჩე-რომა 1:1
ლაციო-ატალანტა 0:2

იტალია. სერია ბ

ბრეშა-მოდენა 0:1
ვენეცია-სპალი 2:1
ზიუდტიროლი-კომო 1:1
კალიარი-ბენევენტო 1:0
რეჯინა-პიზა 0:2
ფროზინონე-ჩიტადელა 3:0
ასკოლი-პერუჯა 1:0
ტერნანა-პარმა 1:1

საფრანგეთი. ლიგა 1

მონაკო-პსჟ 3:1
კლერმონი-მარსელი 0:2

სატუნირო ცხრილი:

1.პსჟ	23	17	3	3	55-20	54
2.მარსელი	23	15	4	4	45-20	49
3.მონაკო	23	14	5	4	51-30	47
4.ლანსი	22	13	7	2	34-16	46
5.რენი	22	12	4	6	41-25	40
6.ლილი	22	11	5	6	38-27	38
7.ნიცა	23	10	7	6	30-21	37
8.ლორიანი	22	10	6	6	35-34	36
9.ლიონი	22	9	5	8	33-24	32
10.რეიმსი	22	6	12	4	26-26	30
11.კლერმონი	23	8	6	9	24-31	30
12.ტულუზა	22	8	5	9	36-38	29
13.ნანტი	22	5	10	7	23-26	25
14.ბრესტი	22	4	8	10	24-35	20
15.მონპელიე	22	6	2	14	31-45	20
16.ტრუა	22	4	7	11	33-48	19
17.სტრასბური	22	3	9	10	27-39	18
18.აიაჩო	23	5	3	15	18-42	18
19.ოსერი	22	3	5	14	18-46	14
20.ანჟე	22	2	3	17	18-47	9

საფრანგეთი. ლიგა 2

სტ.ეტიენი-დიჟონი 2:0
გენგამი-ვალანსიენი 3:1
გრენობლი-პო 1:1
ლავალი-ანსი 1:1
ნიორი-ბორდო 3:1
როდეზი-ნიმი 1:1
ბასტია-კევიი 0:1
სოლო-ლე ავრი 1:1

ნიდერლანდები. ერედივიზიონი

ნაიმეგენი-კამბური 0:0
პსვ-გრონინგენი 6:0
ემენი-სიტარდი 0:1

პორტუგალია. პირველი ლიგა

აროუკა-სანტა კლარა 1:0
გიმარაეში-პორტიმონენშე 1:0

ბელგია. ა დივიზიონი

ვესტრლო-გენტი 3:3
შარლერუა-სერენი 3:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-ტიროლი 1:2
ზალცბურგი-ლუშტენაუ 4:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საბა ლობჟანიძის გუნდი თურქეთის ჩემპიონატს ჩაეხსნა

საქართველოს ნაკრების შემტევ საბა ლობჟანიძის ჰათაისფორი თურქეთის სუპერლიგის მიმდინარე სეზონს ვეღარ გააგრძელებს.

კლუბმა ოფიციალური წერილი თურქული კლუბების გაერთიანებას გაუგზავნა და ეს მისმა თავმჯდომარე ალი კოჩიმ გაავრცელა.

– ჰათაისფორმა გამოგვიგზავნა წერილი, რომლითაც შეგვატყობინა, რომ ამ სეზონის მატჩებს ვეღარ ჩაატარებენ. შესაძლოა, ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღოს გაზიანთებმაც. ჩვენ მზად ვართ, გავაგრძელოთ ჩემპიონატი 17 გუნდით, ამ ორ კლუბს კი სუპერლიგაში ადგილი შეუნარჩუნდება.

მოგვიანებით, მსგავსი გადაწყვეტილება გაზიანთებმაც მიიღო. კლუბი აცხადებს, რომ ქალაქში ყველაფერი დანგრეულია და მატჩების მასპინძლობას ვერ შეძლებენ.

ორივე ეს გუნდი ძლიერი ნგრევის ზონაში მოჰყვა.

გეტყვით, რომ დაკარგულთა შორის ლობჟანიძის თანაგუნდელი, განელი გარემარბი კრისტიან ატსუ და ჰათაისფორის სპორტული დირექტორიც არიან. ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ატსუ გამოჩნდა და ცოცხალია, არასწორი აღმოჩნდა.

რაც შეეხება ლობჟანიძეს, ის უსაფრთხოდაა, თუმცა უცნობია, სად გაატარებს საბა სეზონის დარჩენილ ნაწილს.

სანდრო ბაზაძე მსოფლიოს თასზე მეორე ადგილზე გავიდა

პოლონეთის დედაქალაქმა ვარშავამ ხმლით მოფარიკავე ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლა, რომელშიც 205 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ტურნირში საქართველოს შვიდი მოფარიკავე ჩაება და ფლეი ოფში მხოლოდ ორი მათგანი მოხვდა – ლაშა კუჭუხიძე და სანდრო ბაზაძე.

ბაზაძე კვალიფიკაციისგან თავისუფალი იყო და ფლეი ოფში ფინალამდე იარა. სანდრომ რუმინელი გეორგე დრაგომირი (15:4), ფრანგი ტომას მარტინე (15:6), მისივე თანამემამულე სებასტიან პატრისი (15:9), ამერიკელი ეღი დერშვიცი (15:7) და იტალიელი ლუიჯი სამელე (15:12) ზედიზედ დაამარცხა, ფინალში კი მოულოდნელად მსოფლიოს რეიტინგით 74-ე ადგილზე მყოფ მასპინძელთან კშიშტოფ კაჩკოვსკისთან 13:15 წააგო და მეორე ადგილზე გავიდა.

კუჭუხიძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე ექვსიდან ხუთ მეტოქეს სძლია, ფლეი ოფში კი ორი კონკურენტი ჩამოიშორა გზიდან, რის შემდეგაც იტალიელ დარიო კავალიერეს (9:15) ვეღარ გაუმკლავდა და 48-ე ადგილზე გავიდა.

საქართველომ ნიდერლანდებიც გაანადგურა

ნიდერლანდები-საქართველო 8:40

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ნიდერლანდებს ამსტერდამში 6 ლელო გაუტანა და რაგბი ევროპის ჩემპიონატში მეორე გამარჯვება იზეიმა – 40:8.

მასპინძელთა თავგამოდებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ბორჯღალოსნებმა დაგეგმილი ბონუსიც აიღეს და ა ჯგუფს ქულათა მაქსიმუმით (10) ლიდერობენ. ჩვენებმა ნახევარფინალის საგზური უკვე გაინაღდეს და 18 თებერვალს ესპანეთს პირველი ადგილისა და ნახევარფინალში მასპინძლობის უფლებისთვის შეერკინებიან.

ნიდერლანდებს, რომელიც რაგბი ევროპის ჩემპიონატზე 2021 წელს დაბრუნდა, წელს ყველაზე მებრძოლი გუნდი ყავს. პირველ ტურში მათ ესპანეთს მადრიდში დიდი ბრძოლა გაუმართეს და ბონუსი არ დაანებეს (20:28), ახლა კი უდავო ლიდერსა და მთავარ ფავორიტ საქართველოსაც გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში.

შეხვედრა ძლიერი ქარის ფონზე წარიმართა, რაც თამაშის ხარისხზეც აისახა. ბორჯღალოსნები მაღალ ტემპში ცდილობდნენ თამაშს, მაგრამ სიჩქარეში ხშირი იყო ტექნიკური წუნი. გარდა ამისა, საქართველო ხშირად ჯარიმდებოდა და ყვითელი ბარათების გამო 30 წუთი კაცნაკლულმა იბურთავა. მიუხედავად ამისა, კლასში სხვაობა საკმაოდ დიდი იყო და მთლიანობაში, მთავარ მეტოქეებთან ჯახის წინ მათ კარგი რეპეტიცია გამოუვიდათ.

ნიდერლანდებთან პირველი სანაკრებო ლელო ღადო ჩაჩანიძემ გაიტანა, ერთი ლელო დავით ნინიაშვილის ანგარიშზეა, გიორგი ჭყოიძემ და მიხეილ გაჩეჩილაძემ კი, დუბლი გაიფორმეს. აღსანიშნავია, რომ ჭყოიძის მეორე ლელო საქართველოსთვის საიუბილეო, მე-500 აღმოჩნდა რაგბი ევროპის ჩემპიონატზე, რომელშიც საქართველო 2000 წლიდან თამაშობს. ჯამში, ბორჯღალოსნებს ამ ტურნირზე 115 შეხვედრა აქვთ ჩატარებული, საიდანაც 97 მოიგეს და მეტოქეებს 502 ლელო გაუტანეს, თავად კი 112 მიიღეს.

პირველ ტაიმში საქართველო პირქარში თამაშობდა და, როგორც ჩანს, ქარი საკმაოდ ძლიერი იყო, რადგან გადაცემა ადრესატამდე ხშირად არ აღწევდა. სტუმრები ცდილობდნენ, რომ შეტევების ტემპი ოფლოუდებით შეენარჩუნებინათ და მთელ რიგ ეპიზოდებში ეს კარგადაც გამოსდიოდათ, მაგრამ უზუსტობამ მათ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა არ მისცა.

ამით კარგად ისარგებლეს მასპინძლებმა და სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს. მათ ჯარიმით დაწინაურებას ლელოზე თამაში არჩიეს, მაგრამ მოლსა და ფორვარდების დარტყმის სერიას დაცვა მომზადებული დახვდა. მე-9 წუთზე ჭყოიძემ მეტოქეს რაქში აართვა ბურთი, მარჯვენა ფრთაზე სწრაფად ჩავათამაშეთ, სადაც აკა ტაბუცაძე გაიჭრა. შეტევას კარგად მიჰყვნენ დემე თაფლაძე, გელა აფრასიძე და დავით ნინიაშვილმა ანგარიში ძელებშუა გატანილი ლელოთი გახსნა, თედო აბჟანდაძემ კი გარდასახა.

დავიდ ვირსმა მე-15 წუთზე ჯარიმით ჩამორჩენა შეამცირა, რასაც საქართველომ დერეფნიდან მორკინალების დარტყმით უპასუხა და ლადო ჩაჩანიძემ ძალისმიერი ლელო გაიტანა. რადგან ბურთზე კონტროლი ვერ დავამყარეთ, ნიდერლანდებმა პირველ ტაიმში კიდევ რამდენიმე შესატევი პლაცდარმი მიიღო და ჩვენს წითელ ზოლში საკმარისი დრო გაატარა, მაგრამ დაცვა მაგრად დადგა. იყო ეპიზოდი, როდესაც ნინიაშვილმა და აფრასიძემ შეტევა თავისივე ლელოდან, ოფლოუდებით წამოიწყეს და იქნებ 100-მეტრიანი ლელოც გვეხილა, რომ არა ტიმო პითერსის მხრიდან ბურთზე ხელის ჩარტყმა. ნიდერლანდელის სინბინს მალევე ბექა საღინაძის სინბინი მოჰყვა, მეტოქემ მეორედ ცადა ჯარიმით 3 ქულის აღება, მაგრამ დარტყმა არაზუსტი იყო და ტაიმი 12:3 დასრულდა.

მეორე ტაიმი საქართველომ უფრო აქტიურად დაიწყო და მალევე ტაბუცაძემ ლელო გაიტანა, მაგრამ რეფერემ განმეორებითი მოძრაობისთვის გააუქმა. სამაგიეროდ, დაგვიბრუნდა ჯარიმა, რომელიც ჭყოიძემ გაათამაშა და შეუტია, ფორვარდების რამდენიმე დარტყმის შემდეგ კი მანვე ლელო გაიტანა. 52-ე წუთზე დერეფნიდან აგორებულ მოლს ჭყოიძე დროულად მოსწყდა და თავისი მეორე ლელო მიითვალა, რომელიც საქართველოსთვის მე-500 იყო რაგბი ევროპის ჩემპიონატებზე. აბჟანდაძემ ორივე გარდასახა და უპირატესობა სოლიდური გახდა.

ამას კვლავ მოჰყვა ჯარიმები, რამაც ნიდერლანდელებს ბურთზე კონტროლის დამყარების შესაძლებლობა მისცა. ისინი ნელ-ნელა ჩვენს ჩათვლის მოედანს მოუახლოვდნენ და 63-ე წუთზე კუნ ბლუმენმა ერთი ლელო გაქვითა. ამ ეპიზოდს, ხშირი ჯარიმების გამო, სინბინით ნინიაშვილიც შეეწირა. კაცნაკლულად მოთამაშე ბორჯღალოსნებმა 68-ე წუთზე კიდევ ერთი მოლი დააყენეს, რომელმაც სწრაფად დაფარა ლელომდე მანძილი და მიხეილ გაჩეჩილაძემ ბურთი დაამიწა, ლუკა მატკავამ კი გარდასახა.

ნინიაშვილის დაბრუნებამდე წამებით ადრე ყვითელი ბარათი უკვე სერგო აბრამიშვილმა მიიღო და დარჩენილი დროც კაცნაკლული დავრჩით, მაგრამ ლელო კვლავ იქით გავიტანეთ. მეტოქის დერეფანში ბურთის მოგების შემდეგ, მატკავამ ხაზი ვახტანგ აბდალაძეს გააჭრევინა, რომელსაც კარგად მიჰყვა გაჩეჩილაძე და ლელო ძელის გვერდით გაიტანა, მატკავამ კი გარდასახვა შეასრულა. მალე კიდევ ერთი ლელოს გატანის კარგი შანსი გვქონდა, თუმცა შეცდომებმა უპირატესობის გაზრდის შესაძლებლობა არ მოგვცა და შეხვედრა 40:8 დასრულდა.

სამგლოვიარო განცხადებები

თემურ ჟვანიას ხსოვნას!

ერთი ცრემლიანი და ტკივილიანი წელი გავიდა სახელოვანი გივი ჟვანიას ვაჟიშვილის – თემურ ჟვანიას გარდაცვალებიდან.

თემური ძალიან ენატრება და დააკლდა მის საყვარელ ოჯახს – მეუღლე მანანას, შვილების გივიკოსა და ირაკლის ოჯახებსა და ახლობლებს.

უფალმა ნათელში ამყოფოს!

ნათესავები კუსუნა და გოჩა მზარელუები

80 წლის გახდებოდა 18 თებერვალს!

მეოთხე წელი დაიწყო, რაც ჩვენგან წავიდა იმქვეყნად ყველასთვის საყვარელი, კუთხის, ქვეყნის მოამაგე, პატრიოტი

ვაჟა (თამაზ) გოგეჯიშვილი (ზვიდუკეთი)





გეოლოგი, მარკშეიდერი, მწერალი, ეთნოგრაფი. თანამშრომლობდა გაზეთ „რაეოსთან“. 1998 წელს ნაირა ლობჟანიძესთან ერთად „რაეოს“ 24-გვერდიანი გაზეთი მიუძღვნა მშობლიურ სოფელ ღებს. ავტორი წიგნებისა: „ღები“, „რაჭის მონასტრები“, ბროშურა „ჩემი სოფელი ღები“, „ჩემი თვალით დანახული რაჭა“ და მრავალი ჟურნალ-საგაზეთო სტატიების ავტორი და რედაქტორი იყო. დარჩა გამოუქვეყნებელი ნაშრომები. დაუვიწყარი იქნება მისი ხსოვნა ახლობლებისა და საზოგადოებისთვის.

ნათელში იყოს მისი სული!

ღების სადროშო და ღებელები

17 იანვარს გარდაგვეცვალა 62 წლის

ჟორა გოგეჯიშვილი (გაბრიტიანთი)

კარგი ოჯახიშვილი, კარგი მეოჯახე, კარგი ბაბუა. დიდად დასწყვიტა გული ოჯახს, საახლობლოს, საზოგადოებას. ამიტომაც დაესწრო დაკრძალვას უამრავი ადამიანი. დიდი გულისტკივილით დაიტირა საზოგადოებამ.

ნათელში იყოს მისი სული!

ღების სადროშო და ღებელები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

დინამომ თურქული შეკრება დაასრულა. ჭიაბრიშვილი კმაყოფილია

ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე 2 კვირაზე ნაკლები დრო რჩება. ქვეყნის ჩემპიონმა თბილისის დინამომ წინასასეზონო მზადება თურქეთში გაიარა და მთავარი მწვრთნელი გიორგი ჭიაბრიშვილი კმაყოფილია.

გიორგი ჭიაბრიშვილი:

– მეორე შეკრება ყოველთვის რთულია. ჩემი ფეხბურთელების მონდომებით თამაშებსა და ვარჯიშებზე ძალიან კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, კარგ კონდიციებში ვართ. ტესტ-მატჩებში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოვცადეთ, რომელთაც თავი კარგად წარმოაჩინეს. იყო თამაშები, სადაც მეტოქემ ძალიან გვაჯობა, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. ეს აუცილებლად წაგვადგება. ძლიერი მეტოქეები გვყავდა და ასეც მინდოდა, რომ ყოფილიყო. დანარჩენი საქართველოს ჩემპიონატში გამოჩნდება. ვფიქრობ, წელს დაბალანსებული და კარგად მომზადებული გუნდი გვეყოლება...

ზოგადად, ყველა გუნდში ასე ვმუშაობ: შეკრებაზე მიმყავს ფეხბურთელები, ვისაც ვენდობი, ვინც მინდა, რომ ვათამაშო. შეკრებაზე არ მაქვს მიზანი მოგება ან წაგება, მთავარია ფეხბურთელების და გუნდის განვითარება. დრო ყველას თანაბრად გავუნაწილეთ. შედეგი მთავარია ჩემპიონატში, სადაც ამდენი როტაცია არ იქნება და ისინი ითამაშებენ, ვინც უფრო მზად იქნება...

– მარცხენა მცველის პოზიციაზე გვინდა გაძლიერება. დავით კობოურის გარდა, გვჭირდება ერთი ფეხბურთელი. არის კონტურები, რთულია ამ პოზიციაზე ფეხბურთელის შერჩევა, ვინც ვნახე, არ მომეწონა, მაგრამ მიმდინარეობს მუშაობა, რადგან მთელი სეზონის განმავლობაში ერთი მარცხენა მცველი საკმარისი არ არის. გარდა ამისა, გაძლიერებაზე კიდევ ვფიქრობთ და სატრანსფერო კამპანია ჯერ არ დაგვისრულებია...

დინამომ შეკრებაზე, ჯამში, 8 ამხანაგური მატჩი ჩაატარა: 2 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება.

საქართველოს ჩემპიონატი 25 თებერვალს დაიწყება და პირველ ტურში დინამოს მეტოქე გორის დილა იქნება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სპილენძის შენადნობი კალასა და ტყვიასთან; 2. ყურძნის სხვადასხვა ჯიშის შერევა ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად; 3. უკრაინის ჰეტმანი, ეროვნული გმირი; 4. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 5. თანაგრძნობა, კეთილი განწყობილება ვინმესადმი; 7. რძის პროდუქტი; 11. პროტესტის გამოხატვის დიპლომატიური მეთოდი; 13. ქართული ყველი; 15. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 18. ბანდიტის, ხულიგნის, ქურდის ძველებური სახელწოდება საფრანგეთში; 19. პირველი ავტომობილის შემქმნელი გერმანელი კონსტრუქტორი.

თარაზულად: 6. პოპულარული საორკესტრო ნაწარმოების „ბოლეროს“ კომპოზიტორი; 8. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 9. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ლეონარდო და ვინჩის შედევრი; 12. საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში; 14. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 17. ძველად სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრებისთვის; 21. სამი ოსკარის ლაურეატი ჰოლივუდის კინორეჟისორი; 22. სახელმწიფო სკანდინავიაში; 23. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტავტოლოგია; 2. ტრაქტი; 3. პინოქიო; 4. მახნო; 5. ბასტილია; 6. ნაიკი; 7. ჟინვალი; 9. პოშეტი; 13. ემალი; 17. ტუტი; 18. ბოა.

თარაზულად: 1. ტალანტი; 3. პრიზმა; 8. მაიამი; 10. აქსიომა; 11. პორშე; 12. ბოქსიტი; 14. პორტიე; 15. ანოსმია; 16. ისტრი; 19. შელერი; 20. ფარვანა; 21. კრუიზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ანოქსია; 2. ხარატი; 3. კულინარია; 4. თუთუნი; 5. ვალმარტი; 7. იაკი; 11. სალიამი; 13. მატროსი; 15. გენუა; 16. მელუა; 18. რეინი; 19. ტესტი.

თარაზულად: 6. ნუნისი; 8. მამლუქი; 9. თრთვილი; 10. სუფიქსი; 12. ხირსა; 14. მისური; 17. ინტერნეტი; 20. იზაბელა; 21. ჟუდეცი; 22. ნესტლე; 23. ცაგარელი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

13 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6670	ევრო — 2.8550
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2292	100 რუსული რუბლი — 3.6540

ამინდის პროგნოზი 13 თებერვლისათვის

ბენზემა: „მიხარია, რომ საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ“

მადრიდის რეალმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არაბული ალ ჰილალი დაამარცხა და ეს ტურნირი უკვე მეხუთედ მოიგო. ფინალში ტრადიციულად აქტიური იყო კარიმ ბენზემა, რომლის ანგარიშზე გატანილი გოლი და საგოლე გადაცემაა: „ყველა ტიტული მნიშვნელოვანია და მინდა, რომ რეალმა ასე გააგრძელოს, რადგან ჩვენ მხოლოდ უმაღლესი მიზნები გვამოძრავებს. დღევანდელი გამარჯვება თავდაჯერებულობას შეგვმატებს“.

მამარდაშვილის ვალენსიამ კიდევ ერთი შეხვედრა წააგო

გიორგი მამარდაშვილის ვალენსიამ კიდევ ერთი შეხვედრა წააგო და ამჯერად ისინი საკუთარ მოედანზე ბილბაოს ატლეტიკთან დამარცხდნენ 1:2. მამარდაშვილს ბრალი არცერთ გაშვებულ გოლში არ მიუძღვის, მაგრამ ეს ვალენსიას არ შველის და გუნდი უკვე გასავარდნ ზონაშია. ვალენსიას ვერც ჯენარო გატუზოს წასვლამ უშველა, რომელიც 2 კვირის წინ გაათავისუფლეს.

არტეტა: „არსენალს კრიზისი არა აქვს“

არსენალმა ზედიზედ მეორე შეხვედრის მოგება ვერ შეძლო და ამჯერად მან საკუთარ მოედანზე ბრენტფორდი ვერ დაამარცხა. შეხვედრა 1:1 დასრულდა. მიუხედავად ამისა, მატჩის შემდეგ მიკელ არტეტამ თქვა, რომ მის გუნდს კრიზისი არა აქვს და ისინი მალე ისევ მოგებებს დაიწყებენ: „სამწუხაროა, რომ ქულები დავკარგეთ, მაგრამ უპირატესობა გვქონდა და, უბრალოდ, არ გაგვიმართლა. მომავალ მატჩებში მეტი ყურადღება გვმართებს და ყველაფერი სხვაგვარად იქნება“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

გოჩა ჭაბუკაიძე პირველი კლიპის პრემიერას გამართავს

მედავითნე და მომღერალი გოჩა ჭაბუკაიძე, რომელიც ათასობით მსმენელმა „ნიჭიერიდან“ გაიცნო, პირველი კლიპის პრემიერას გამართავს.

19 თებერვალს ეროვნული არქივის მუზეუმის დარბაზში მომღერალი გულშემატკივრებს ვიდეორგოლის პრეზენტაციაზე ეპატიჟება, რომელიც სიმღერაზე „მარტო ჩემი ხარ“ გადაიღო:

– ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ნათესავებო და კოლეგებო, სულითა და გულით გელოდებით ჩემი პირველი კლიპის „მარტო ჩემი ხარ“ პრეზენტაციაზე ეროვნული არქივის მუზეუმის დარბაზში. გმადლობ, გლოცავ და მიყვარხარ, საქართველო.

ასტროპროგნოზი

13 თებერვლისათვის

ვერძი – საოჯახო პრობლემები სრულად ჩაგითრევთ. აკონტროლეთ შემოსავალ-გასავალი. გამოიყენეთ მეგობრების გამოცდილება. ** კურო** – მიენდეთ ახლობლებს. ეცადეთ, მოსალოდნელი კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. თუ ქალაქგარეთ გასვლა მოგიხდათ, სიფრთხილე გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** – გუნება-განწყობა გეცვლებათ. აქტიურობთ, თუმცა შინაგანად დაძაბული ხართ. **ლომი** – ზედმეტი მიამიტობა შეცდომების დაშვების მიზეზად იქცევა. ყურადღებით იყავით საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას. **ქალწული** – საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, მაგრამ ეს არ გაძლევთ იმის საფუძველს, რომ თქვენი შესაძლებლობები გადაჭარბებულად შეაფასოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობები შეგხვდებათ. გარშემომყოფებთან დაძაბული ურთიერთობა გექმნებათ. **ღრიანცელი** – იღბლიანი დღეა. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. პირად ცხოვრებაშიც გიმართლებთ. **მშვილდოსანი** – ყურადღების ცენტრში ხართ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. ზომიერება დაიცავით. **თხის რქა** – გეგმების განხორციელებაში ხელი არ გეშლებათ. მოსალოდნელია აზრთა სხვადასხვაობა ხელმძღვანელ პირებთან. **ვერცხელი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად მშვენიერი პერიოდია. მოვლენების დაჩქარება სასურველი არ არის. **თევზები** – სიტუაციაში გარკვევა გიჭირთ. ოდნავ დაბნეული ხართ. საღამოს რომანტიკული შეხვედრაა მოსალოდნელი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალიშვილი მამას ურეკავს და ეუბნება:

– მამა, მანქანაზე ბორბალი დამეშვა...

– მერე, მე რატომ მირეკავ, შენს ქმარს დაურეკე!

– ვურეკავ და ყურმილს არ იღებს...

– სათადარიგო არ გაქვს?

– ვურეკავ და არც ის იღებს ყურმილს...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს:

– ალო, გივის გაუმარჯოს. რას აკეთებ?

– ახლა ვერ დაგელაპარაკები, ქმრის მოვალეობას ვასრულებ.

– შენ ხომ ცოლი არ გყავს?

– სხვის მოვალეობას ვასრულებ!

●●●

მამაკაცი ექიმს ეკითხება:

– აცრის შემდეგ მალევე სექსი შეიძლება?

– არა, ჯერ სახლში უნდა მიხვიდეთ!

●●●

უფროსი თანამშრომელ ქალს ეუბნება:

– სამსახურში დააგვიანე.

– ღამაზი ქალები ყოველთვის აგვიანებენ.

– და შენ რატომ დააგვიანე?

●●●

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

– აბა, ბავშვებო, ვინ მიპასუხებს, რომელი უფრო სწრაფად მოძრაობს, მტრედი თუ ცხენი?

– აბა, გოგი, შენ მიპასუხე.

– თუ ფეხით, მაშინ ცხენი.

●●●

– რატომაა, რომ მსოფლიოს ხალხების ზღაპრებსა და ლეგენდებში არის მფრინავი გველეშაპები და მხოლოდ რუსების გველეშაპია სამთავიანი?

– იმიტომ, რომ საბრძოლველად ფხიზლად ყოფნაა საჭირო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მხატვარ სანდრო სულაბერიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა



მხატვარმა სანდრო სულაბერიძემ მონაწილეობა მიიღო გამოფენაში „ავტოპორტრეტი სარკესთან“. ექსპოზიციაზე ხელოვანმა საკუთარი ნამუშევარი ჩამოხსნა და საღებავით დატოვა წარწერა: „ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელია!“

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და გამოფენის კურატორი ქეთევან შავგულიძეც დაკითხა.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა, სადაც გამოფენა ჩატარდა, მომხდარზე სპეციალური განცხადება გაავრცელა:

– დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეაში კულტურის ცენტრ „ათინათის“ გამოფენა „ავტოპორტრეტი სარკესთან“ გაიხსნა – კურატორი ქეთევან შავგულიძე. გამოფენის გახსნისას გამოფენის ერთ-ერთმა მონაწილე მხატვარმა, სანდრო სულაბერიძემ, გამოფენაში მონაწილეობა გადაიფიქრა, კედლიდან საკუთარი ნამუშევარი ჩამოხსნა და შესასხურებელი საღებავით წარწერა გააკეთა, რითაც დააზიანა ეროვნული გალერეის საგამოფენო სივრცის კედელი. მხატვრის მიერ ეროვნული გალერეის დაზიანების შედეგები აღმოფხვრილია. ამ დროისთვის, „ათინათის“ მიერ კედლის პირვანდელი იერსახე აღდგენილია და გამოფენა ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს.

სანდრო სულაბერიძესთან დაკავშირებულ ამბებს **საქართველოს პენცენტრი** გამოეხმაურა:

– საქართველოს პენცენტრი მოითხოვს, კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა ამ გაუგონარი პუტინისტური გამოხდომის გამო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის, გელათის სამონასტრო კომპლექსის დაზიანებისგან დაუცველობის გამო, მუზეუმებიდან კომპეტენტური მეცნიერებისა და თანამშრომლების უკანონოდ, პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების გამო, რაც სასამართლოს მიერ გამოტანილი არაერთი გადაწყვეტილებით უტყუარადაა დადასტურებული, დაუყოვნებლივ დატოვოს დაკავებული თანამდებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ, სხვა ქართველ სახელოვნებო ჯგუფებთან ერთად, გამოვიყენებთ პროტესტის ყველა ფორმას ამ მიზნის მისაღწევად. ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელია!

ხათუნა ხაბულიანი, ხელოვნებათმცოდნე:

– როცა ამბობ, რომ მხატვრებს უთმობ გალერეას, აღარ უნდა გაგიკვირდეს ასეთი ამბავი, ასეთები არიან მხატვრები! შეიძლება იფიქრო, რომ მოათვინიერე, მაგრამ ეს შეუძლებელია! მათ ვერ მოათვინიერებ. ეს არტისტული განაცხადია, ახალგაზრდული, არაკონფორმისტული, პროვოკაციული და, რაც მთავარია, ცოცხალი! ამავე დროს, პატივისცემაც ამ გამოფენაზე წარმოდგენილი საუკეთესო ნამუშევრების გარდაცვლილი თუ ცოცხალი ავტორების მიმართ! ეს ფოტო მომავალში სხვა მნიშვნელობას შეიძენს და კონფორმისტებმა გაითვალისწინეთ, რომ მერე თქვენი პოზიციებიც იქნება „მემორიში“ და იმ ძველ კგბ-შნიკებს ნუ დაემსგავსებით, საბჭოთა კავშირის მერე რომ იბრალებდნენ დისიდენტობას! კარგი ნამუშევარია, სანდრო!

სანდრო სულაბერიძის მიმართ სამართალდამცავების მხრიდან დაწყებულია საქმის წარ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ელდარ შენგელაიას ფილმებს ლონდონში აჩვენებენ

ქართველი კინორეჟისორის ელდარ შენგელაიას 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისი ფილმების ჩვენება ლონდონში გაიმართება.

ელდარ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივა 2 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

მაყურებელი დიდ ეკრანზე იხილავს ელდარ შენგელაიას ფილმებს: „ცისფერი მთები“ და „თეთრი ქარავანი“. კინოჩვენებების პარალელურად, ლეგენდარული ქართველი რეჟისორის 5 ფილმი – „ცისფერი მთები“, „თეთრი ქარავანი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“ და „სავარძელი“ განთავსდება ონლაინპლატფორმაზე „კლასიკი“.

ლონდონის რეტროსპექტივა ელდარ შენგელაიას 90 წლის იუბილეს ეძღვნება. ღონისძიების პარტნიორი საქართველოს ეროვნული კინოცენტრია.

ნანუკა გულუა და სალომე შარვაძე „იმედზე“ გადაცემას წაიყვანენ

სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობები ნანუკა გულუა და სალომე შარვაძე ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში სულ მალე გადაცემას წაიყვანენ.

„ჩვენთან ერთად“ – ასეთია გადაცემის სახელწოდება, რომელსაც ორი მსახიობი გაუძღვება. ნანუკა და სალომე „იმედზე“ ტელეკომპანია „ფორმულადან“ გადავიდნენ.

მათ გადაცემის პირველი სარეკლამო რგოლი უკვე გადაიღეს და მაყურებელსაც გაუზიარეს. ვიდეოს ბევრი მოწონება და გაზიარება აქვს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. ღვინისა და დროსტარების ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული; 2. კომბინაცია პრეფერანსში; 3. ქალაქი იმერეთში; 4. აკვიატებული შიში; 5. ყველაზე ძველი უნივერსიტეტი აშშ-ში; 6. ბრიტანული არაყი; 7. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 9. ბრაზილიური არაყი; 13. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 17. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 18. ცხოველური საკვები პროდუქტი.

თარაზულად: 1. აზიის ქვეყნებში გავრცელებული რელიგია; 3. ფრიალო კლდე; 8. ქართველი კომპოზიტორი, ოპერა „ლელას“ მუსიკის ავტორი; 10. დაბალი რანგის დიპლომატი; 11. ლითონის, ხის დასამუშავებელი ელექტროაგრეგატი; 12. რაიონული ცენტრი იმერეთში; 14. გოეთეს ტრაგედია; 15. გერმანული ლუდი; 16. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 19. მთა თბილისში; 20. მეჩვიდმეტე საუკუნის ქართველი მხედართმთავარი; 21. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა